აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№89 (25.113) 8 - 14 სექტემბერი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 25-30 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 28 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

ბათუმმა CORLEAP-ის ყოველწლიურ, მე-12 შეხვედრას უმასპინძლა

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ბათუმში ევროპის რეგიონთა და თვითმმართველობათა კომიტეტის აღმოსავლეთ პარტნიორობის კონფერენციის (CORLEAP) ყოველწლიური მე-12 შეხვედრა გაიმართა, რომელშიც საქართველო CORLEAP-ის თანათავმჯდომარე ქვეყნის რანგში მონაწილეობს. შეხვედრა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციისა (ათეა) და ბათუმის მერიის ორგანიზებითა და მხარდაჭერით მოეწყო. ღონისძიებაში CORLEAP-ის წევრი ქვეყნების 50-მდე დელეგატი, ასევე, ათეას მიერ ევროპის საბჭოს კონგრესში და ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭოში (CEMR) წარდგენილი დელეგაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანმა, ბათუმის მერმა, ათეას ვიცე-პრეზიდენტმა არჩილ ჩიქოვანმა, ჩეხეთის ქალაქ რადლოს მუნიციპალიტეტის ვიცე-მერმა პაველ ბრანდამ და CORLEAP-ის თანათავმჯდომარემ, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძემ.

შეხვედრაზე ისაუბრეს აღმოსავლეთ პარტნიორობის როლზე ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში, ასევე, მოქალაქეებთან ადგილობრივი ხელისუფლების დიალოგის მნიშვნელობაზე. დაამტკიცეს CORLEAP-ის განახლებული სამოქმედო გეგმა, წარადგინეს საბჭოს ანგარიში.

შეხვედრის დასასრულ გაიმართა ახალი თანათავმჯდომარის წარდგენა. CORLEAP-ში აღმოსავლეთ პარტნიორობის 5 ქვეყანა - საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი და აზერბაიჯანია გაერთიანებული. როტაციის მიხედვით, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდება, თანათავმჯდომარის სტატუსი საქართველომ უკრაინას გადასცა.

ჟოზეფ ბორელი საქართველოშია

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბორელი.

ქვეყანაში მისი პირველი ოფიციალური ვიზიტი ამჟამინდელი უფლებამოსილებით, საშუალებას მისცემს, განიხილოს საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე პროგრესი, ასევე, გაცვალოს აზრები უფრო ფართო საგარეო პოლიტიკასა და რეგიონულ საკითხებზე. ჟოზეფ ბორელი შეხვდება პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილს. ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად დაგეგმილია პრესკონფერენცია. ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ვიცე-პრეზიდენტი გამოიყენებს შესაძლებლობას, შეხვდეს პარლამენტში მყოფი ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს და გამართოს დისკუსიები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. შეხვედრების დროს საუბარი იქნება გაფართოებაზე, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე, 12 პრიორიტეტის იმპლემენტაციაზე, ზოგადად, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებზე, გეოპოლიტიკაზე, რეგიონსა და ჩვენს ქვეყანაში არსებულ უსაფრთხოების მდგომარეობაზე.

„უმაღლესი წარმომადგენელი, ვიცე-პრეზიდენტი, ვიზიტის დროს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქართველოში ყოფნის 15 წელს აღნიშნავს, რაც ასახავს ევროკავშირის ერთგულებას საქართველოს უსაფრთხოებისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მიმართ. ის მონაწილეობას მიიღებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) მიერ ორგანიზებულ მისიაში ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ“, - აღნიშნულია ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის ინფორმაციაში.

„Batumi Build - 2023“ დღეს გაიხსნება

ხატია იაშვილი 555 18 48 88

სამი დღის განმავლობაში ბათუმი სამშენებლო მასალების, ტექნოლოგიებისა და უძრავი ქონების მე-12 საერთაშორისო გამოფენას „Batumi Build - 2023“ მასპინძლობს, რომლის ორგანიზატორია საგამოფენო კომპანია Expo Batumi.

გამოფენის მიზანი სამშენებლო სფეროში არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების ერთ სივრცეში გაერთიანებაა, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესკონტაქტების მოძიებასა და შემდგომში საქმიანი ურთიერთობების გაგრძელებას. დაგეგმილია B2B შეხვედრა, რაც კომპანიებს საშუალებას მისცემს, უკეთ გაეცნონ შემოთავაზებებს.

გამოფენაში მონაწილეობენ სამშენებლო ტექნიკის, მასალებისა და დანადგარების მწარმოებელი და რეალიზატორი კომპანიები, უძრავი ქონების სააგენტოები, სამშენებლო და დეველოპერული, ინტერიერისა და ექსტერიერის, კონდიცირებისა და გაგრილების სისტემის მწარმოებელი, ასევე, არქიტექტურული დიზაინის კომპანიები. ღონისძიება ბათუმის სპორტის სასახლეში გაიმართება და დასწრება თავისუფალია.

გამოფენის მხარდამჭერები არიან: საქართველოს მთავრობა, აჭარის მთავრობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები, ბათუმის მერია, საქართველოს და აჭარის საგაჭრო-სამრეწველო პალატები, საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია, უძრავი ქონების პროფესიონალთა გაერთიანება, საქართველოს უძრავი ქონების ეროვნული ასოციაცია, ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაციები, საქართველოს ტელევიზიები და გაზეთები.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

87-ე სეზონი ბათუმის თოჯინების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალით გაიხსნება

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ხვალ, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში 87-ე თეატრალური სეზონი ბათუმის თოჯინების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალით გაიხსნება. ამასთან დაკავშირებით, დღეს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც ფესტივალის დამფუძნებლებმა საზოგადოებას ღონისძიებასთან დაკავშირებით, ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს.

ბათუმის თოჯინების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 8 სექტემბერს დაიწყება და 13 სექტემბრის ჩათვლით, არაერთ საინტერესო აქტივობას შემოგვთავაზებს. როგორც ცნობილია, ფესტივალზე წარდგენილი იქნება 10 სპექტაკლი, რომლისგანაც საერთაშორისო ჟიური რამდენიმე ნომინაციაში გამარჯვებულს გამოავლენს.

- დღეს საზოგადოებას ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდეთ ფესტივალის ფარგლებში გათვალისწინებულ აქტივობებთან დაკავშირებით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სპექტაკლებზე დასწრება თავისუფალია და ვთხოვთ საზოგადოებას, რაკი ადგილები შეზღუდულია, დროულად დაიჭირონ თადარიგი, რომ შეძლონ სასურველ სპექტაკლზე დასწრება. მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, უწყებას, ორგანიზაციას, ვინც წვლილი შეიტანა იმაში, რომ ჩანაფიქრი განგვეხორციელებინა და საქართველოში პირველად, დაგვეარსებინა ბათუმის თოჯინების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. მთელი შემართებით ვემზადებით და გვჯერა, წინ 6 საინტერესო დღე გველოდება, რომელიც ჩვენს ქალაქს კიდევ უფრო მეტ მრავალფეროვნებას შესძენს. ფესტივალზე 8 საკონკურსო და 2 არასაკონკურსო ჩვენებით წარსდგებიან სახელმწიფო თოჯინური თეატრები, ჟიური კი მათგან 7 ნომინაციაში გამარჯვებულს გამოავლენს. მიხარია, რომ ფესტივალში მონაწილე თეატრები, მსახიობები კიდევ უფრო ახლოს გაიცნობენ ერთმანეთს, რაც თოჯინური სფეროს განვითარებას, ასევე, ახალი და ერთობლივი პროექტების შექმნასა და ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. საზოგადოებას წინ ელოდება დაუვიწყარი და სიურპრიზებით აღსავსე დღეები. გელოდებით ყველას, ჩვენთვის მაყურებლის მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია, - გვითხრა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ბათუმის თოჯინების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი კიკვაძემ.

ფესტივალის მნიშვნელობაზე ისაუბრა ფესტივალის კიდევ ერთმა სამხატვრო ხელმძღვანელმა და საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანების სამხატვრო ხელმძღვანელმა ნიკოლოზ საბაშვილმა. მისი თქმით, ფესტივალი კიდევ უფრო ნათლად დაგვანახებს, თუ რა ხდება თოჯინური თეატრების სფეროში, რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ და რა უნდა გაკეთდეს სამომავლოდ სფეროს განვითარებისათვის.

- მინდა მივულოცო ქალაქს თოჯინურ სფეროს ისეთი ისტორიული ფაქტი, როგორიც არის ბათუმის თოჯინების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დაბადება. ის დაგვანახებს, სად და რა მიმართულებით გვჭირდება გაძლიერება. ფესტივალი, პირველ რიგში, ემსახურება იმას, რომ განვავითაროთ თოჯინური მიმართულება, ამავდროულად, უფრო მეტ გასტროლზე წავიდეთ, უფრო მეტი გრანპრი ჩამოვიტანოთ, ქვეყანაში ჩამოვიყვანოთ საინტერესო დასები, შევქმნათ ბევრი საინტერესო პროექტი, კოპროდუქციები. გუნდური მუშაობა ყოველთვის წარმატებით მთავრდება. შედეგი განსაზღვრავს ყველაფერს, ამ ფესტივალისგან კი დიდ შედეგს ველოდები. ფაქტობრივად, ეს იქნება წლების განმავლობაში ჩვენი მუშაობის შეჯამება და საუბრები სამომავლო გეგმებზე, - აღნიშნა ნიკოლოზ საბაშვილმა.

„საზღვაო ქვეყნის ლურჯი პოლიტიკა“

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ბათუმში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიება: „საზღვაო ქვეყნის ლურჯი პოლიტიკა“ გაიმართება

ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იქნება შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის ბიომრავალფეროვნების, ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსების, კლიმატის, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურულ-ისტორიული და სხვა მიმართულებით არსებული უახლესი სამეცნიერო კვლევები, მოეწყობა გამოფენები, შემეცნებითი ვიქტორინები, ექსპერიმენტები მოსწავლეებისათვის და სხვა აქტივობები.

ღონისძიება ასევე მოიცავს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას: „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე II“ და სამეცნიერო პავილიონების გამოფენას.

ორგანიზატორების თქმით, კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება მოხსენებები შავი ზღვის რეგიონის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფილოლოგიის, ენათმეცნიერების, ფოლკლორის, ტურიზმის, ეკოლოგიის, ტოპონიმიკის, რელიგიათმცოდნეობის, ფილოსოფიის, არქიტექტურის, სამართლის და სხვა მიმართულებით.

კონფერენცია 20 სექტემბერს, 12:00 საათზე, ბსუ-ის 55-ე აუდიტორიაში ჩატარდება, ღია ცის ქვეშ მოეწყობა სამეცნიერო პავილიონების გამოფენა.

სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიებაში, უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად, მონაწილეობენ აჭარის მუზეუმების გაერთიანება, ა(ა)იპ, ბათუმის ბოტანიკური ბაღი და ბათუმის ტექნოპარკი“.

2 ობიექტი დარღვევისთვის დაჯარიმდა

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

მუნიციპალური ინსპექციის სანიტარიული ზედამხედველობის განყოფილებამ, საცურაო აუზების გეგმური სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების მონიტორინგის შედეგად, 2 ობიექტი დააჯარიმა. ამ ეტაპზე, ლაბორატორიული კვლევა 26 საცურაო აუზს ჩაუტარდა

მუნიციპალური ინსპექციის სანიტარიული ზედამხედველობის განყოფილება შემოწმებას მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის“ თანამშრომლებთან ერთად, პერიოდულად ახორციელებს. მონიტორინგის ფარგლებში მოწმდება საცურაო აუზის ჰიგიენური ნორმები, წყლის სინჯებზე ტარდება ქიმიურ-მიკრობიოლოგიური კვლევა.

ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სანიტარიული ზედამხედველობის განყოფილების უფროს ნუგზარ ცეცხლაძის განცხადებით, გასულ წლებთან შედარებით ცვლილება არ შეინიშნება.

- ამ ეტაპზე მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებზე დარღვევები მხოლოდ 2 ობიექტზე გამოვლინდა. შემოწმება ყოველწლიურად ტარდება, დარღვევის გამოვლენის შემდეგ კი გადამოწმება ერთი კვირის განმავლობაში ხდება. პირველ ჯერზე შპს-ები და იურიდიული პირები - 100, ინდმეწარმეები კი 50 ლარით დაჯარიმდებიან, დარღვევის განმეორების შემთხვევაში, ინდმეწარმე - 200, შპს-ები და იურიდიული პირები კი 500 ლარით დაჯარიმდებიან. ამ კონკრეტულ ობიექტებზე, გადამოწმების შემდეგ, სიტუაცია დამაკმაყოფილებელია. მონიტორინგის ძირითადი პროგრამა დასრულდა, შემოწმდა ყველა აუზი. მუნიციპალური ინსპექციის სანიტარიული ზედამხედველობის განყოფილება აუზების შემოწმებას მომავალი წლიდან განაახლებს, - გვითხრა ნუგზარ ცეცხლაძემ.

მაღალი რანგის საჭადრაკო ღონისძიება - ბათუმში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმში 2 სექტემბერს დაიწყო საჭადრაკო კომპოზიტორთა 65-ე მსოფლიო კონგრესი და 46-ე მსოფლიო ჩემპიონატი კომპოზიციების ამოხსნაში, რომელშიც 32 ქვეყნის 200-მდე მოჭადრაკე მონაწილეობს.

ღონისძიებაზე დიდ ინტერესს იწვევს „ამოხსნების შოუ“ და „ზღაპრული პოზიციების ამოხსნა“. ჩემპიონატის დელეგაციის წევრებს გუშინ ბათუმის მერიაში უმასპინძლეს. არჩილ ჩიქოვანმა მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს, მონაწილეებს კი წარმატებები უსურვა.

ღონისძიება დღეს, 18 საათზე, სასტუმრო „ლეგენდაში“ ოფიციალურად დაიხურება.

ნარკორეალიზატორი დააკავეს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის 2 პირი დააკავეს - ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების ფაქტზე 1969 წელს დაბადებული ე.ბ., ხოლო ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის, წარსულში ნასამართლევი, 1971 წელს დაბადებული ჯ.ბ. დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ე.ბ. ქობულეთში არსებულ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“ მუშაობდა.

ამბები

ქრონიკა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე არაბთა გაერთიანებული საამიროების ელჩს საქართველოში აჰმედ იბრაჰიმ აჰმედ თაჰერ ალ ნუაიმის შეხვდა. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარების დინამიკას. საუბარი შეეხო აჭარაში არაბული საინვესტიციო პროექტის განხორციელების და მსოფლიო ლიდერი ბრენდი ROTAN-ს შემოყვანის მნიშვნელობას. პროექტის განხორციელება გონიოში იწყება და ითვალისწინებს 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობას, რომლის საინვესტიციო ღირებულება 71 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

* * *

ბათუმში, ანგისის ქუჩაზე. მოსახლეობამ პროტესტის ნიშნად გზა გადაკეტა და უკვე მერამდენედ, სამშენებლო კომპანია „ნიუ ბათუმისგან“ ნაკისრი ვალდებულების შესრულება მოითხოვა. აღნიშნულმა კომპანიამ, როგორც უფლებადამცველმა თამაზ ბაკურიძემ გვითხრა, 2014 წლიდან ჩვენს ქალაქში სამი კორპუსი ააშენა და დღემდე არცერთ ბინას წყალი, შუქი და გაზი არ მიეწოდება. „წარმოშობით ირანელმა, თურქეთის მოქალაქემ საეიდ ნოვროოზმა, როდესაც პირველი მშენებლობა დაასრულა, იმ წამსვე თავი იჩინა რიგმა პრობლემებმა, რომელიც დღემდე მოუგვარებელია. გაუმართავია ინფრასტრუქტურა, არაა გაზი, შუქი, წყალი. ასევე, არ შეასრულა სხვა ვალდებულებები, რაც მას როგორც მოსახლეობის, ასევე სახელმწიფოს წინაშე ჰქონდა კომპანიის დირექტორი ოფისში იმყოფებოდა, რასაც მანამდე უარყოფდნენ. ის მოსახლეობას შეხვდა. საეიდ ნოვროოზი მათ დაჰპირდა, რომ ოქტომბერში ყველა ვალდებულებას შეასრულებს“, - გვითხრა უფლებადამცველმა თამაზ ბაკურიძემ.

* * *

2-3 სექტემბერს აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ორგანიზებით, გონიოს ციხეში ჩატარდა „რომაული ფესტივალი 2023“. ციხის ტერიტორიაზე კიდევ ერთხელ გაცოცხლდა I-III საუკუნეების რომაელი ჯარისკაცების ყოველდღიური ცხოვრება. სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ რომაულ თამაშებში, დაეგემოვნებინათ რომაული კერძები... ფესტივალს ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, უამრავი უცხოელი ტურისტი ესწრებოდა. „რომაული ფესტივალი“ 2019 წლიდან იმართება. მუზეუმ-ნაკრძალი, რომელიც მოიცავს გონიოს ციხეს და მიმდებარე ტერიტორიას, 1994 წელს დაარსდა.

* * *

2023-2024 სასწავლო წლისთვის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხვის უფლება 1561-მა აბიტურიენტმა მოიპოვა. უნივერსიტეტის ინფორმაციით, საბაკალავრო პროგრამების შევსების მაჩვენებელი გასული წლებისაგან განსხვავებით, რეკორდულად გაიზარდა და თითქმის 100 პროცენტი შეადგინა. ასევე, 106 პროცენტით გაზრდილია აბიტურიენტთა განაცხადების რიცხვი. პირველკურსელები, რეგისტრაციის პარალელურად, საკონსულტაციო ცენტრში ღებულობენ დეტალურ ინფორმაციას უნივერსიტეტში მოქმედ სამართლებრივ რეგულაციებზე, სწავლის საფასურის გადახდის წესზე და ა.შ.

მოამზადა
ხატია იაშვილმა

ალმოჩნდება თუ არა სალომე ზურაბიშვილი საქართველოს პირველი პრეზიდენტი, რომლის იმპიჩმენტსაც პარლამენტი მხარს დაუჭერს?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ხვალინდელი საქართველო დღევანდელი საქართველოს წიაღში იბადება და ვისაც მისი ბედი ადარდებს, გასაკვირი როდია, თუ მტკივნეულ კითხვებს სვამს ქვეყნის ახლანდელ ყოფაზე, მით უმეტეს, მძლავრი მსოფლიო კატაკლიზმების ფონზე. ახლა, როცა ყველაფერი, მათ შორის ამინდიც, მართულია, აბა, ვის უნდა გაუკვირდეს პოლიტიკური მიმართულებების ცვლილებები, მეტამორფოზა და მართვა

დიახ, აწმყო, რომელშიც ვცხოვრობთ, თავსატეხ კითხვებს ბადებს და პასუხს მოითხოვს. პასუხი კი უპირველესად იმ პოლიტიკოსებს მოეთხოვებათ, ქვეყნის პარლამენტში რომ მოღვაწეობენ, მაგრამ რამდენად შეეფერება ეს სიტყვა მათი საქმიანობის სტილს, ამის მსაჯული მე ვერ ვიქნები, პასუხს ქვეყანაში შექმნილი ვითარების გაანალიზებისას იპოვით. მაშ, რა არის ახლა ჩვენი პოლიტიკოსების ვნებათაღელვის მიზეზი? - ქვეყნის პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომლის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაიანონსეს. როგორ წარიმართება მოვლენები და რაა მოსალოდნელი, რატომ გამოუცხადეს პრეზიდენტს უნდობლობა?

შეიძლება ითქვას, პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა - მმართველი გუნდის ფავორიტი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ხელისუფლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, მიზეზად კონსტიტუციის დარღვევა დასახელდა და პირველად საქართველოს საპარლამენტო ისტორიაში, მმართველმა გუნდმა პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო... რა თქმა უნდა, პრეზიდენტისა და ხელისუფლების დაპირისპირება დღეს არ დაწყებულა, რასაც თავისი მიზეზი აქვს.

დავიწყოთ იმით, რომ ეს ურთიერთდაპირისპირებები განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც კრემლმა საქართველოს მოქალაქეებისთვის გააუქმა მისივე შემოღებული სავიზო რეჟიმი და ავიამიმოსვლა აღდგა. მაშინ სალომე ზურაბიშვილმა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ნაწილი დაადანაშაულა რუსეთის მიმართ ლოიალური პოლიტიკის გატარებაში, თუმცა არც მანამდე ჰქონდათ სიამტკბილობა ზურაბიშვილსა და მმართველ გუნდს. ხელისუფლების წევრები ვარაუდობდნენ, რომ პრეზიდენტი „წითელ ხაზებს“ არ გადაკვეთდა. ამ მხრივ, „ქართული ოცნებისთვის“ უსიამოვნო იყო „მთავარი არხის“ გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას შეწყალება, საუბრობენ იმაზეც, რომ საქართველოს პრეზიდენტი ოპოზიციას შეეკრა და „ნაცმოძრაობის“ მესიჯბოქსს იმეორებს, არადა, ახია მმართველ გუნდზე. ყველას ახსოვს, როგორ აირჩიეს ზურაბიშვილი პრეზიდენტად - რომ არა ივანიშვილის და ხელისუფლების მხარდაჭერა, იგი პრეზიდენტი ვერ გახდებოდა, ამისთვის მეორე ტური გახდა საჭირო. მაშინ, ალბათ, სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ საქართველოს პრეზიდენტი მათგან დამოუკიდებელ პოლიტიკას გაატარებდა, მაგრამ როგორც თქმულა: პოლიტიკაში არ არსებობენ მუდმივი მეგობრები და მტრები, არსებობს მუდმივი ინტერესები. პრეზიდენტი ზურაბიშვილი აცხადებს, რომ ის მმართველი გუნდისგან განსხვავებით, ქვეყნის ინტერესების ერთგულია, თანაც დასძენს, რომ ხელისუფლება დროდადრო ანტიდასავლურ გზავნილებს ახმოვანებს.

ექსპერტები ამ მიმართებით პრეზიდენტს უფრო მეტი მტკიცებულების წარდგენას ურჩევენ, რადგან ასეთი მასშტაბის ბრალდებებს მეტი დასაბუთება სჭირდება. მათი თქმით, პრეზიდენტი შეხვედრებს უნდა მართავდეს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მათ შორის პრემიერთან და უსვამდეს კითხვებს საჭირბოროტო საკითხებზე. თავის მხრივ, პრეზიდენტი გულნატკენი აცხადებს, რომ მას საქმის კურსში არ აყენებენ... როგორც ჩანს, მმართველი პარტია აღარ ენდობა ზურაბიშვილს.

სათქმელია ისიც, რომ „ოცნების“ ხელისუფლებას პრეზიდენტებში არ უმართლებს. თავის დროზე მათი ფავორიტი გიორგი მარგველაშვილი იყო, ამბობდნენ, რომ საქართველოს ისტორიაში ის გამორჩეული პრეზიდენტი იქნებოდა, მაგრამ სულ რამდენიმე თვეში მეოთხე პრეზიდენტი ხელისუფლებისთვის მიუღებელი გახდა. როგორც მარგველაშვილი ამბობდა, მას არ სურდა ხელისუფლების პაიკი ყოფილიყო, მმართველი პარტია კი აღნიშნავდა, რომ მარგველაშვილი ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, მათ დისკრედიტაციას ეწეოდა. მარგველაშვილი იმპიჩმენტს გადაურჩა, რა ბედი ეწევა მოქმედ პრეზიდენტს, ცხადია, დრო დაგვანახებს.

როგორც ვთქვით, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესი ინიციირებულია, მმართველი პარტიის აზრით, სალომე ზურაბიშვილმა კონსტიტუცია დაარღვია, როცა მთავრობის ნებართვის გარეშე უცხოეთში გაემგზავრა. ისმის კითხვა - დაარღვია თუ არა მან კონსტიტუცია? ამაზე პოლიტიკოსებს განსხვავებული მოსაზრება აქვთ: მმართველი პარტიის წევრი, საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე აცხადებს, რომ პრეზიდენტმა დაარღვია საქართველოს კონსტიტუცია, როცა მთავრობა არ ჩააყენა საქმის კურსში უცხოეთში ვიზიტების თაობაზე: „წესით და რიგით, სწორედ პრეზიდენტი უნდა იყოს კონსტიტუციის გარანტი და არა დამღრვევი, მან აშკარად დაარღვია კონსტიტუცია და ამიტომაც მის მიმართ იმპიჩმენტის პროცესის დაწყება სამართლიანი აქტია“, - განაცხადა მდინარაძემ. „ლელოს“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე კი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტს კონსტიტუცია არ დაურღვევია, პირიქით, მისი ძალისხმევა არის მიმართული იქითკენ, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი.

როგორც გაცხადდა, გროვდება ხელმოწერები საკითხის საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენისთვის, მისი შეტანიდან ერთი თვის განმავლობაში სასამართლო დაადგენს, დაარღვია თუ არა კონსტიტუცია პრეზიდენტმა. დარღვევის შემთხვევაში, იმპიჩმენტის საკითხი პარლამენტში კენჭისყრაზე დადგება. როგორც ცნობილია, იმპიჩმენტს 100 დეპუტატის ხმა სჭირდება, ამ რაოდენობის ხმები მმართველ პარტიას, „ხალხის ძალას“ და „ევროპელ სოციალისტებს“ არ აქვთ, ხოლო პარლამენტის დანარჩენი პოლიტიკური ჯგუფები და ფრაქციები ინიციატივას მხარს არ უჭერენ, თუმცა ქართულ პოლიტიკაში გამორიცხული არაფერია, შესაძლოა, ფარული გარიგებაც მოხდეს მმართველ პარტიასა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის. ამის მაგალითი არაერთი მოიპოვება ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. ამ მხრივ საყურადღებოა „ევროპელი დემოკრატების“ გენერალური მდივნის მამუკა გამყრელიძის მოსაზრება: „თუ ოპოზიცია არ მიიღებს იმპიჩმენტის პროცედურაში მონაწილეობას, მაშინ მმართველი პარტია იტყვის, რომ ოპოზიცია მას იცავს, ვინც არღვევს კანონს და კონსტიტუციას“.

სანამ მიმდინარეობს მსჯელობა პრეზიდენტის იმპიჩმენტის დაწყებაზე, ამასობაში სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთში პრეზიდენტ მაკრონს შეხვდა. მისი თქმით, „ევროკავშირის კანდიდატობაზე“ „ძალიან სასარგებლო საუბარი“ გაიმართა. მის მიმართ დითირამბები არ დაიშურა საფრანგეთის პრეზიდენტმა: „...ძალიან კარგი საუბარი გვქონდა ქალბატონ პრეზიდენტთან, რომლის მიღებითაც მოხარული ვარ, რათა, ბუნებრივია, გვესაუბრა საქართველოზე, ევროკავშირის კანდიდატობაზე და ქვეყნის მომავალზე, რეგიონზე. მათ აქვთ ჩემი სრული მხარდაჭერა დემოკრატიის და ადამიანის უფლებების მიმართულებით“, - აცხადებს მაკრონი.

სხვათა შორის, ანალიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მმართველი გუნდი არ ენდობა ზურაბიშვილს. შესაძლოა, მან ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეიწყალოს, პრეზიდენტი კი ირწმუნება, რომ არასოდეს გააკეთებს ამას. აღსანიშნავია, რომ ერთი წლის წინ არც გვარამიას შეწყალებას აპირებდა ზურაბიშვილი, თუმცა შეიწყალა, ასევე არ არის გამორიცხული, დროთა განმავლობაში სააკაშვილიც შეიწყალოს, მით უმეტეს, დასავლეთი ამ მიმართებით აქტიურობს... ბოროტი ენები ამბობენ, რომ „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს ხელს არ აძლევთ სააკაშვილის გათავისუფლება, რადგან პარტიაში გავლენებს დაკარგავენ, ურჩევნიათ ციხეში ჰყავდეთ, როგორც წამებული. ყველას გვახსოვს, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, როცა სააკაშვილის გათავისუფლების მიზნით მრავალათასიანი დემონსტრაცია გაიმართა, ნიკა მელიამ რატომღაც ეს მიტინგი დაშალა და, ასე ვთქვათ, მუხტი დაადგო მომიტინგეებში. „ნაციონალური მოძრაობის“ მაშინდელი თავმჯდომარის ეს გადაწყვეტილება ოპოზიციონერმა პარლამენტარმა თაკო ჩარკვიანმა მკაცრად გააკრიტიკა და იგი ხელისუფლებასთან ალიანსში დაადანაშაულა.

ასე თუ ისე, ერთი რამ ცხადია: შეიძლება პარლამენტში პოლიტიკური ვაჭრობა დაიწყოს პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებით. უდავოა, რომ დროთა განმავლობაში ნათლად გამოჩნდება, რა სახეს მიიღებს საკითხი. ისიც სათქმელია, რომ ზურაბიშვილი პირდაპირი წესით არჩეული უკანასკნელი პრეზიდენტია და, ამასთან, შესაძლოა, პირველი პრეზიდენტიც აღმოჩნდეს, ვის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურას პარლამენტი მხარს დაუჭერს. ექსპერტთა თქმით, ასეთი შედეგი, ქვეყნის იმიჯს დასავლეთში შელახავს, ან პირიქით - იმპიჩმენტი ხომ სწორედ დემოკრატიის მაღალი ხარისხის დადასტურებაა.

შოვის ტრაგედიის საგამოძიებო კომისიის შექმნა გადაიდო

ხატია იაშვილი 555 18 48 88

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ შოვის სტიქიასთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი ოქტომბრის დასაწყისამდე გადადო. ამის თაობაზე ენმ-ის ფრაქციის თავმჯდომარე თინა ბოკუჩავამ ჟურნალისტებთან ისაუბრა

როგორც მან აღნიშნა, საგამოძიებო კომისიის შექმნის გადადების მიზეზი ყოფილ პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას პარტია „საქართველოსთვისაა“, რომელიც ამ ეტაპზე საპარლამენტო კომისიის შექმნას მხარს არ უჭერს. პარტიაში აცხადებენ, რომ ჯერ ყველა ბერკეტი უნდა ამოწურონ, მათ შორის, მოუსმინონ შინაგან საქმეთა მინისტრის ინტერპელაციას და თუ სიმართლის დასადგენად სხვა შესაძლებლობა აღარ დარჩება, მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმდებიან საგამოძიებო კომისიის შექმნას. „საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერის კახა ქემოკლიძის განცხადებით, პარტია საგამოძიებო კომისიის შექმნას კი არ ეწინააღმდეგება, არამედ შოვის ტრაგედიასთან დაკავშირებით სიმართლის დადგენა სურს. „საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვდნენ ადამიანები, რომლებმაც აპრილი იცოდნენ, რომ 50-ს კი არა, 40 ხმას ვერ მოაგროვებდნენ, რადგან საკუთარი გუნდის წევრები ქვეყნის გარეთ იყვნენ გასული. ხომ წარმოგიდგენიათ, რა აბსურდის თეატრია, ქართულ პოლიტიკას გვერდიდან თუ შეხედავთ“, - აღნიშნა ქემოკლიძემ.

როგორც თინა ბოკუჩავა ამბობს, დაელოდებიან პარლამენტში 22 სექტემბერს დაგეგმილ შს მინისტრის ინტერპელაციას და ამის შემდეგ დააყენებენ საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს დღის წესრიგში.

საგამოძიებო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით ჩვენთან საუბარში აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გიორგი კირთაძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია საკითხის შესწავლა.

„მიმაჩნია, რომ აუცილებელია აღნიშნული კომისიის შექმნა, რადგან მოსახლეობის ნდობა სამთავრობო უწყებების მიმართ მინიმალურია. როდესაც კომისია შეიქმნება, ღიად და საჯაროდ გასცემენ იმ კითხვებს პასუხებს, რაც მათ აინტერესებთ და ყველაფერს ნათელი მოეფინება. პირადად ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ უჭერენ კომისიის შექმნას მხარს მთავრობის დეპუტატები, რადგან თუ ვინმეს სამსახურებრივი გადაცდომა ჰქონდა, აუცილებლად უნდა დაისაჯოს. ეს ადამიანები ჩვენი გადასახადებიდან იღებენ ჯამაგირს და ვალდებულნი არიან, თავიდან აგვარიდონ მსგავსი ტრაგედიები. ჩვენ არ ვართ დაცულები მსგავსი სტიქიებისგან, ამიტომ დროული რეაგირება ყველაზე მნიშვნელოვანია“, - გვითხრა გიორგი კირთაძემ.

საგამოძიებო კომისიის შექმნაზე ოპოზიციის მოთხოვნას უპასუხა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა. მისი თქმით, ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს ოპოზიციის „მოუმწიფებლობას“. „ყველა ინფორმაცია, თუკი რაიმე საინტერესო არის ვინმესთვის პარლამენტში, არის საჯარო და ამ დღეებში ქვეყნდებოდა კიდევაც. არანაირი პრობლემა ამასთან დაკავშირებით არ არის. რაც შეეხება საგამოძიებო კომისიის შექმნას, ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს ჩვენი ოპოზიციის მოუმწიფებლობას. როგორც კი დაინახავენ რაღაც თემას, რომელზეც ფიქრობენ, რომ შეუძლიათ პოლიტიკური კაპიტალის დაგროვება, ეგრევე აყენებენ საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს, შემდეგ ავიწყდებათ ამ კომისიის იდეა და არც გამოაქვთ პლენარულ სხდომაზე. ეს არასერიოზულია. კიდევ ერთხელ თქვან, რა ინფორმაცია სჭირდებათ და არ აქვთ. სადეპუტატო შეკითხვით იქნება თუ სხვანაირად, ამ ინფორმაციას მიიღებენ“, - განაცხადა პაპუაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ 3 აგვისტოს კუროორტ შოვში მეწყერი ჩამოწვა. სამაშველო ღონისძიებები ამ დრომდე გრძელდება. სტიქიის ზონიდან, ჯამში, 210 ადამიანი გამოიყვანეს. სტიქიას ემსხვერპლა 31 ადამიანი, 2-ს ამ დრომდე ეძებენ. შეიძლებოდა თუ არა თავიდან აგვერიდებინა მსგავსი ტრაგედია? ამ კითხვით „აჭარამ“ გეოლოგ ტარიელ ტუსკიას მიმართა.

„სად ჰყავს საქართველოს იმდენი გეოლოგი, რომ ყველა მთაზე და მეწყერულ ზონაში მუდმივად მივიდეს და აკონტროლოს? თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მონიტორინგი არ ტარდება. აჭარაში ძალიან ბევრი მეწყერული ზონა გვაქვს. რაიმე ცვლილების შემთხვევაში მოსახლეობა, გამგეობა, მეტყევე აცნობებს გეოლოგთა ჯგუფს განცხადებით და შემდეგ ხდება რეაგირება. ასეთ დროს მოსახლეობის, გამგეობის, მეტყევეების ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია“, - გვითხრა ტარიელ ტუსკიამ.

ორი მენტორი მასწავლებელი ქედაში – ერთი სკოლიდან

ხარაულის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თამაზ აბულაძე პირველია ქედაში, რომელმაც მენტორის სტატუსი მოიპოვა. ახლახან ასეთივე სტატუსის მატარებელი გახდა მისი კოლეგა, ამავე სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი, აკადემიური დოქტორი ***მაია ხარაძე.***

- მაიკო, სასურველი მიზნის მისაღწევად დიდი შრომაა საჭირო და გამართლებაც, თქვენს შემთხვევაში როგორაა?

- ვთვლი, რომ შეუძლებელი არაფერია. მთავარი სურვილი და მონდომებაა. დიდი შრომაა საჭირო ნებისმიერი მიზნის მისაღწევად. მიზნისკენ მიმავალ გზაზე ძალიან მრავალ დაბრკოლებასაც წავაწყდი, მაგრამ არასოდეს დამიხევია უკან... ვთვლი, რომ გამოსავალი ყოველთვის არსებობს, ამიტომ ყოველთვის ვარ ოპტიმისტურად განწყობილი ყველა პრობლემის მიმართ. ვსწავლობდი ჩემი შეცდომების მიზეზებს და ვისახავდი გზებს უკეთესი შედეგისთვის. საბოლოოდ, მადლობა უფალს, შემიძლია ვთქვა - დღემდე რა მიზანიც დავისახე, ყველას მივაღწიე.

- ახალგაზრდებში პედაგოგის პროფესია ნაკლებად პოპულარულია, რა გარემოებამ მიგიყვანათ ამ არჩევანამდე?

- ჩემთვის პედაგოგობა მარტო ქიმია-ბიოლოგიის სწავლებას არ ნიშნავს. ვიცი, რომ მოსწავლე ჯერ ადამიანად უნდა ჩამოყალიბდეს, უნდა გახდეს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი და ჩვენი ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქე. პედაგოგის სამუშაოს ეს ნაწილი გაცილებით საინტერესო და მნიშვნელოვანია, ამიტომ ვთვლი, რომ ჩემი საქმიანობით მეც შემაქვს მცირედი წვლილი ქვეყნის უკეთესი მომავლის მშენებლობაში. ამან გადამაწყვეტინა პედაგოგობა და არც შევმცდარვარ. სამყაროს დანახვა ბავშვის თვალით ყოველთვის მახარებს, მათთან ურთიერთობისას მეც ბავშვი ვარ. ყველა მათგანი ინდივიდუალურია, მეც ვიზრდები და ვვითარდები მათთან ერთად.

- იდეალი თუ გყავთ?

- გამორჩეული ადამიანი, როგორც იდეალი, არ მყოლია. საბედნიეროდ, ჩემ ირგვლივ ყოველთვის ბევრი ღირსეული ადამიანი იყო. მათგან ვიღებდი მაგალითს. უფლის მადლიერი ვარ, რადგან ჩემს ცხოვრებაში ისინი არსებობდნენ და დღესაც არსებობენ.

- ქიმიის აკადემიური დოქტორი ხართ, რაც საკმაოდ იშვიათია. ვისი დამოძღვრით მოხვედით ამ სიმაღლემდე?

- ქიმიის დოქტორანტურაში ჩაბარება ჩემი უშუალო ხელმძღვანელის მაია ვანიძისა და მისი გუნდის დამსახურებაა. ძალიან ძლიერი შეგრძნებაა, საჭირო დროს, საჭირო

ადგილას რომ აღმოჩნდები. საამაყოა, იყო ასეთი შრომისმოყვარე გუნდის ნაწილი.

- მეცნიერთა ერთი ნაწილი ხარისხის მოპოვებისთანავე სკოლას ან სხვა დაწესებულებას ტოვებს და უმაღლეს სასწავლებელში გადადის. სკოლაში დარჩენა რატომ გადაწყვიტეთ?

- როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბავშვებთან მუშაობა ჩემთვის ძალიან საინტერესო და მრავალმხრივი გამოცდილებაა. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ყველა ბავშვს სჭირდება გულწრფელი მხარდაჭერა და მოტივირება ცხოვრების გზის არჩევისას. აი, მერე უკვე ძალიან სასიამოვნოა იმის ყურება, რა თავისუფლად იკვლევენ გზას. არც ისე დიდი ხანია ვარ მასწავლებელი, მაგრამ უკვე ძალიან მახარებენ ჩემი მოსწავლეები თავიანთი წარმატებებით. სულსა და გულს უხარია, როდესაც ვხედავ, როგორ დგამენ დამოუკიდებელ ნაბიჯებს. ვხედავ მათ იმედიან თვალებსა და ვისმენ გულწრფელ შეფასებებს. არასაგაკვეთილო პირობებშიც ვცდილობ, ვიდგე მათ გვერდით. ყოველთვის ვგულშემატკივრობ და იციან, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ მომმართონ, თუმცა არც მეცნიერული კვლევა-ძიება შემიწყვეტია და პარალელურად, 2017 წლიდან დღემდე, გახლავართ მიწვეული მასწავლებელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტში, აქტიურად ვარ ჩართული საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

- რა არის თქვენი სამეცნიერო ხარისხის თემა?

- „დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვაზის ავტოქთონური ჯიშების ფენოლური ნაერთები“. ქართული ვაზისა და ღვინის შესახებ სამეცნიერო თემატიკა ამოუწურავია. ნაშრომის სამეცნიერო სიახლე ისაა, რომ საქართველოს სინამდვილეში პირველად HPLC და UPLC-MS მეთოდით შევისწავლე დასავლეთ საქართველოში გავრცელებული 16 ავტოქთონური ვაზის ჯიშისა და მისგან დაყენებული ღვინის ფენოლური ნაერთების თვისებრივი შედგენილობა და რაოდენობრივი შემცველობა, დადგენილია ანტიოქსიდანტური აქტივობაც.

- წლებია, მშობლიური სოფლის სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი ხართ. ამ ეტაპზე მასწავლებლის მუშაობის ბარომეტრი მისი აღსაზრდელების მიერ ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგებია. რა გაქვთ სათქმელი?

- ქიმია-ბიოლოგიას ეროვნულ გამოცდებში ნაკლებად ირჩევენ, თუმცა წარმატებები ყოველთვის გვქონდა ოლიმპიადებში და როცა იმართებოდა საატესტატო გამოცდებიც, ყოველთვის ძალიან კარგი შედეგები იყო. ჩემმა ერთ-ერთმა მოსწავლემ 9,7 ქულაც კი დააგროვა. ასევე, საუცხოოდ წარმოაჩინეს თავი 2022 წლის დეკემბერში „ზოგადი განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის (32 02 12) სასკოლო ინიციატივების წახალისების ღონისძიების ფარგლებში დაფინანსებული პროექტების დახურვის ღონისძიებაში და სკოლას მოუტანეს დამატებით ჯილდო 1000 ლარის ოდენობით. საამაყოა ის ფაქტი, რომ ჩვენი სკოლის ეკოკლუბი „Green Group“-ი ჩართული იყო ნიკო კეცხოველის სასკოლო კონკურსში. ახლა ვემზადებით ნახევარფინალისთვის, რომელიც სექტემბერშია დანიშნული.

- ტკივილი და მწუხარება, რომელმაც თქვენს ცხოვრებაში კორექტივები შეიტანა...

- არა მარტო ჩემი და ჩემი ოჯახის, არამედ მთელი ჩვენი სანაცნობოსთვის მეხის გავარდნასავით იყო ჩვენი გმირი ჯარისკაცის, ბიძაშვილის, სერჟანტ ვალერიან ხუჯაძის გარდაცვალება. ის სამსახურებრივი მივლინებით იმყოფებოდა ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში. ჩვენთვის იგი მოუნელებელი ტკივილია და მასზე წარსულ დროში საუბარი ძალიან რთულია... მაშინ პირველად გავიაზრე, რამდენად ხანმოკლეა სიცოცხლე. არავინ ვიცით, ხვალ ვისი დრო მოვა და ვინ წარსდგება უფლის სამსჯავროზე...

- რაჭაში დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებით თქვენი აზრი როგორია?

- პირველ რიგში, მინდა, მივუსამძიმრო და თანავუგრძნო დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს, მათ, ვისაც უშუალოდ შეეხო ეს ტრაგედია, შემდეგ - მთელ საქართველოს. ვერეს ხეობის ტრაგედიის შედეგი დღესაც მაწუხებს. კომპეტენტური პირების მხრიდან უპასუხისმგებლობისა და გულგრილობის შეგრძნება, ვისაც ხელეწიფება, არ ისმენს და უგულებელყოფს მეცნიერთა შეხედულებებს. პრევენცია მეორეხარისხოვანი გვგონია, ძალიან ცუდად ვეთამაშებით ბუნებას და ამას ეწირება უამრავი უდანაშაულო მოქალაქე. რაც ყველაზე სამწუხაროა, ვერც მდინარე ვერეს ტრაგედიამ გვასწავლა ვერაფერი და არც ახლა მგონია, რომ ბუნებრივი სტიქიების მიმართ მიდგომები შეიცვლება.

- აღსაზრდელების დამრიგებელი სხვის დარიგებაზე როგორ რეაგირებთ?

- ნებისმიერ რჩევასა თუ დარიგებას ყოველთვის მთელი გულით ვუსმენ და ვიაზრებ, ვიკვლევ და ვსვამ დამაზუსტებელ კითხვებს. მხოლოდ ამის შემდეგ, თუ საჭიროდ ვთვლი, მივიღებ და განსაკუთრებულ მადლობასაც გადავუხდი მრჩეველს. რჩევა-დარიგებები მიმიღია არა მარტო ჩემი მასწავლებლების, უფროსებისა და კოლეგებისგან, არამედ ჩემი მოსწავლეებისგანაც.

- სხვისი მოტყუება თუ გიცდიათ?

- ტყუილი ერთადერთი რამეა, რასაც ვერ ავიტან და არც არასდროს შევეგუები. ჩემი ცხოვრების მთავარი წესია, არ გავუკეთო სხვას ის, რაც ჩემთვის მიუღებელია, ამიტომ არასდროს არავის მოტყუება არ მიცდია.

- თავად თუ ყოფილხართ ტყუილის მსხვერპლი?

- ვთვლი, რომ ძალიან კრიტიკული ადამიანი ვარ და სანამ რაიმეს დავიჯერებ, ყოველთვის ვცდილობ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაანალიზებას. ეს მიდგომა მართლაც, რომ ეფექტურია.

- რა სიახლეს ჰპირდებით კოლეგებსა და მოსწავლეებს დამდეგ სასწავლო წელს?

- ყოველი ახალი სასწავლო წელი განსაკუთრებული იმედებითა და მიზნებით იწყება. ეს სასწავლო წელი ჩემთვის ორმაგი პასუხისმგებლობა და მოტივაციაა, რომ უფრო საინტერესო აქტივობებით დავტვირთოთ სასკოლო ცხოვრება, იყოს უფრო მეტად მიმზიდველი და შემეცნებითი მოსწავლეებისთვის. თუმცა ყოველთვის ვითვალისწინებ ერთ ბრძნულ გამონათქვამს - „ნუ ისაუბრებთ გეგმებზე, დადეთ შედეგი“. წელს ჩვენს სკოლას დაარსებიდან 95 წელი უსრულდება, მინდა, მის აღნიშვნაში მეც შევიტანო მცირედი წვლილი.

სპორტულ მოედნებს შეაკეთებენ

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზუნდაგაში რამდენიმე წლის წინ სპორტული მინიმოედანი გაკეთდა, რომელიც თანამედროვე მოთხოვნების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა. წელს ამ მოედნისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 104 ათასამდე ლარია მობილიზებული

პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება ღობეს, ხელოვნური საფარი მოეწყობა და დამონტაჟდება განათება. თანამედროვე სტანდარტების შესაფერის სპორტულ მინიმოედანზე შესაძლებელი იქნება როგორც ფეხბურთის, ასევე კალათბურთის და ფრენბურთის თამაში.

მიმდინარე წელს, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების გოგიაშვილებსა და ხარაულაში არსებული სპორტული მინიმოედნებიც შეკეთდა, რომელთა ბიუჯეტი 234 433 ლარია.

ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ლევან ვერძაძე და თვითმმართველობის სხვა მოხელეები სოფელ ზუნდაგაში სპორტული მინიმოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნენ.

- ქედაში სპორტული მოედნების მოწყობა აქტიურად მიმდინარეობს, რაც ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას ხელს უწყობს. ღია და დახურული სპორტული არენები ახალგაზრდობის საყვარელ ადგილად იქცა, - გვითხრა როლანდ ბერიძემ.

„მუსიკალური საღამოები“ – ქედასა და ხულოში

ქვეყნის 63 მუნიციპალიტეტში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, „მუსიკალური საღამოები“ იმართება

აჭარის მთიანეთში, შუახევის შემდეგ, საღამოები ქედასა და ხულოში გაიმართა. ქედელებმა მდინარე აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე - პარკში უმასპინძლეს „მუსიკალურ საღამოს“. იქვე მოეწყო ხელნაკეთი ნივთებისა და ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა, გაიმართა სხვადასხვა საბავშვო გასართობი შოუ, ფოტოსესია ბავშვებისთვის საყვარელი ზღაპრების გმირებთან ერთად.

საღამოს მუსიკალურად ჯგუფი „გორდელა“ და კვარტეტი „რანინა“ აფორმებდნენ, რომლებმაც მსმენელებისთვის ნაცნობი და საყვარელი სიმღერები შეასრულეს. ადგილობრივმა მეჭიბონეებმა მურად თავართქილაძემ და თემურ არძენაძემ ფოლკლორული მელოდიები შეასრულეს და საღამოს მონაწილენიც აიყოლიეს. საღამო ცეცხლოვანი შოუთი დასრულდა.

ხულოში „მუსიკალური საღამო“ სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, ბავშვებისთვის - გასართობი შოუები. საღამო კონცერტით დასრულდა, რომელშიც ანსამბლი „გორდელა“ და ოთო ნემსაძის ბენდი მონაწილეობდნენ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

შეგონება მომავლისთვის, ანუ „მთავარი მაინც მამული არის“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მკითხველის ყურადღება და სიყვარული მწერლისთვის ყველაზე დიდი ჯილდო და სიმდიდრეა, რაც არაერთხელ გაცხადებულა და ამაში ამჯერად ცნობილ მწერალ და მეცნიერ მურად მთვარელიძის საიუბილეო დღეებმა დაგვარწმუნა

მას 70 წელი უდიდესი სიყვარულით, გამორჩეულად სწორედ მკითხველებმა მიულოცეს. დიახ, მისი სამწერლო შემოდგომა ნაყოფიერი და შთამბეჭდავია, გამოსცა როგორც მხატვრული, ასევე, სამეცნიერო წიგნები: „წამებული აკაკი“, ავტობიოგრაფიული რომანი „ამბები მათზე და ჩემზე“, ხაშურის ლიტერატურული ენციკლოპედია. განსაკუთრებული აღიარება „თანამედროვე უფლისწულის სამწიგნეულმა“ მოუტანა. ეს წიგნი რამდენიმე უცხო ენაზე ითარგმნება, მალე თურქულადაც გამოიცემა.

- ბატონო მურად, ახლახან 70 წელი მოგილოცათ საზოგადოებამ, ჩვენც გილოცავთ“ თქვენმა სამწერლო და საზოგადოებრივმა ღვაწლმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა, ეს სასიხარულოცაა და საპასუხისმგებლოც, არა?

- პირველ რიგში, უღრმეს მადლობას მოგახსენებთ იმისთვის, რომ საშუალება მომეცა, კიდევ ერთხელ შევეხმიანო აჭარის საზოგადოებას. ასაკი თავისთავად გვაძლევს მეტი ფიქრისა და განსჯის საშუალებას. რასაკვირველია, ასეთი დაფასება ერთდროულად სიხარულიცაა და დიდი პასუხისმგებლობაც... და თუკი ასეთი დღეების სადღესასწაულო განწყობები, ასე თუ ისე, მალე მიილევა ხოლმე, პასუხისმგებლობა სულ რჩება. ის კიდევ უფრო მეტად და ხშირად გახსენებს თავს და ერთგვარად განსაზღვრავს კიდეც როგორც შენი ცხოვრების წესს, ისე მოვალეობებსაც.

- „ნოყიერი“ სამწერლო შემოდგომა გიდგათ. ბოლო პერიოდში გამოცემული წიგნებიდან რომელს გამოარჩევთ?

- ბოლო პერიოდში რამდენიმე წიგნი გამოვეცი - მხატვრულიც, სამეცნიეროც, ასევე - საბავშვო. ამ უკანასკნელზე მინდა შევჩერდე. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე საბავშვო მოთხრობა დაბეჭდილი მქონდა, ვთვლი, რომ ჩემი „თანამედროვე უფლისწულის“ სამწიგნეული არა მხოლოდ ჩემი დებიუტი, არამედ, ასევე, იყო ჩემი, როგორც მწერლის შესვლა სრულიად სხვა, განსაკუთრებულად ფაქიზ და ფერადოვან სამყაროში. მკითხველმა „თანამედროვე უფლისწულის“ სამივე წიგნი კარგად მიიღო. მადლობელი ვარ გამომცემლობა „შემეცნების“ ხელმძღვანელის, ქალბატონ ლია შალვაშვილის, რომელმაც ამ წიგნის რამდენიმე ენაზე თარგმინს გადაწყვეტილება მიიღო, სულ მალე ჩემი თანამედროვე „უფლისწულის“ სამწიგნეული გამოიცემა თურქულ ენაზე, სტამბოლში, რაც ძალიან მახარებს. გამოვეცი შედარებით პატარა მონოგრაფია „წამებული აკაკი“, სადაც შევეცადე და მგონი, გამომივიდა კიდეც აკაკისთვის ჩამომეცილებინა ის ტალახი, რომელსაც ზოგიერთები დღემდე ესვრიან და უფრო მეტიც, მეჩვენებინა, რომ ის იყო ჭეშმარიტად წამებული ადამიანი. ასევე, გამოვაქვეყნე ლექსების კრებული სახელწოდებით „სამი დრო“, სადაც თავი მოვუყარე ყველა იმ ლექსს, რომელიც უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია ჩემი შემოქმედებიდან. მათგან მაინც ვრცელ ავტობიოგრაფიულ რომანს გამოვყოფ, რომელსაც ვუწოდე „ამბები მათზე და ჩემზე“ და მასში შეძლებისდაგვარად ავსახე ყველა ის მოვლენა, რაც ცხოვრების განმავლობაში შემხვედრია, შევეცადე, გამეცოცხლებინა ყველა ის ამბავი და ადამიანი, რომლებმაც ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს. ამ წიგნის ზოგიერთი ადგილი, სხვათა შორის, თქვენს ქალაქს და ჩემს ბათუმელ მეგობრებსაც ეხება.

- ახლახან დააანონსეთ, რომ მალე მკითხველი ხაშურის ლიტერატურულ ენციკლოპედიას მიიღებს...

- ხაშურის ლიტერატურულმა ენციკლოპედიამ ჩემი დროისა და ნებისყოფის დიდი ნაწილი წაიღო. ვიდრე ამ ინტერვიუზე მუშაობას დავიწყებდი, მას საბოლოოდ გადავავლე თვალი და წერტილიც დავსვი. ამ დღეებში გამომცემლობაში გავაგზავნი. ეს არის ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის ისტორიის ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ფურცელი. ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნისა და რეგიონების სიძლიერე იმითაც განისაზღვრება, რა ფასეულობებზე დგას. ამ მხრივ ხაშურს ნამდვილად აქვს საამაყო. ამ ქალაქს საუკუნე-ნახევრის ისტორია აქვს, მაგრამ მგონია, იმიტომ დაარსდა, რომ რკინიგზელთა ქალაქთან ერთად პოეზიის ქალაქადაც ქცეულიყო. ამ წიგნში შევიდა ყველა ცნობილი, ნაკლებად ცნობილი ან სულაც უცნობი ხაშურელი მწერალი, რომლებსაც თუნდაც ერთი ლიტერატურული ტექსტი დაუბეჭდავთ ჩვენი რაიონისა თუ რესპუბლიკურ პერიოდიკაში, ორასამდეა ასეთი. ყურადღება გადავიტანეთ არა ამ ტექსტების ხარისხზე, არამედ ლიტერატურულ ფაქტზე, თუმცა, უნდა ვთქვა, რომ არც ამ მხრივ გვაქვს საქმე ცუდად. ენციკლოპედია ოთხი ნაწილისაგან შედგება, პირველი წარმოგვიდგენს იმ ავტორებს, რომელთა ნაწარმოებები მეტნაკლებად იბეჭდებოდა და მათ ბიოგრაფიებს ერთვის ერთგვარი ლირიკული წიაღსვლები, ასევე ბიბლიოგრაფია და ლიტერატურა ამა თუ იმ ავტორზე. მეორე განყოფილებას ჰქვია „მათ გაიელვეს“ და აქ სურათებისა და შესაბამისი ტექსტების გარეშე ანბანურადაა დალაგებული ამ ავტორთა გვარები და მითითებულია ბიბლიოგრაფია, წიგნის შემდეგი ნაწილები კი, ძირითადად, ბიბლიოგრაფიულ ნაწილს მოიცავს.

- ყურადღებას იპყრობს თქვენი ლექციები მუზეუმში: „ვეფხისტყაოსანი“ ყოფაცხოვრებაში. ეს ლექციების ციკლი თავისი თემატიკითა და მიზნებით გამორჩეულია და პოპულარული. თავად რას იტყოდით მათ დანიშნულებაზე, ვის ურჩევთ მათ მოსმენას და რატომ?

- დავიწყებ შეკითხვის ბოლო ნაწილით, ამ ლექციების მოსმენას, უპირველესად, ვურჩევ ახალგაზრდებს და თუ რატომ, ეს მარტივად გასააზრებელია. მართლაც, ლექციებზე ვხედავ ხოლმე მოსწავლეებსაც, რაც ძალიან მახარებს, მაგრამ ნაკლები ინტერესი შეინიშნება სკოლების, პედაგოგების მხრიდან, არადა, პირიქით უნდა იყოს. შეიძლება ვინმემ თქვას, ქართულის მასწავლებელმა „ვეფხისტყაოსანი“ მშვენივრად იცის და ლექციაზე დასწრება რა სავალდებულოაო, მაგრამ საკითხები, რომლებსაც განვიხილავ ამ კუთხით ნაკლებად არის შესწავლილი და მათი წინა პლანზე წამოწევა, ვფიქრობ, დღეს განსაკუთრებით საინტერესოა. ყოველდღიურ ყოფაში წინა საუკუნის 90-იან წლებამდე ბევრად უფრო დიდი ადგილი ეკავა ამ ეროვნულ განძს, ვიდრე დღეს და თუ ჩვენი ცხოვრება დავაშორეთ ამ გენიალური წიგნის იდეალებს, საითკენაც მივექანებით დღეს, დიდი პრობლემები შეექმნება ჩვენს იდენტობასაც, რადგან ქართველს ორი წიგნი მიაჩნდა თავის უპირველეს სახელმძღვანელოდ, სიწმინდედ და ცხოვრების საზრისის განმსაზღვრელად: „ბიბლია“ და „ვეფხისტყაოსანი“. სამწუხაროდ, დღეს ორივე წიგნის მიმართ ინტერესი განელებულია. და ვიდრე ჩემი თაობა ჯერ ისევ არის, გვევალება, მომავალ თაობას ჩავუნერგოთ უმთავრესი - იცხოვრონ „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად, მისი იდეალებით. მოკლე ხანში გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოსცემს ამავე სახელწოდების მონოგრაფიას, რომელიც სწორედ ამ ლექციების თემატიკას აერთიანებს და დაინტერესებულ მკითხველს შესაძლებლობა მიეცემა, უფრო დეტალურად გაეცნოს და გაიაზროს, რა როლის ასრულებდა „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი ერის ცხოვრებაში. აქვე გეტყვით, რომ ამ წიგნის ერთ-ერთი რეცენზენტი არის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, შესანიშნავი ლიტერატურათმცოდნე და სწავლული ქალბატონი შორენა მახაჭაძე. მე, პირადად, პოემა მერვე კლასში ვისწავლე და ვისწავლე ისე, რომ დღესაც მაშინდელი ნასწავლი მეხმარება სტუდენტებთან ლექციების დროს. დღეის გადასახედიდან, ვფიქრობ, უმჯობესია „ვეფხისტყაოსანი“ ისწავლებოდეს დამამთავრებელ კლასში, მაგრამ უფრო მეტი საათის დათმობით და სრულყოფილი მეთოდოლოგიით.

- განათლების სფეროში თქვენი გამოცდებიდან რა დაასკვენით - რატომ ხდება აუცილებელი აბიტურიენტთა მომზადება და რატომ არ შეუძლია სკოლას ამ ფუნქციის შესრულება?

- იმაში, რომ დამამთავრებელ კლასში მოსწავლე დამატებით იღებდეს ცოდნას უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, საგანგაშო არაფერია. დიდი ხანია, ეს პრაქტიკა ჩვენში დამკვიდრებულია. უფრო შემაშფოთებელი ისაა, რომ თანამედროვე სკოლა თავისი აბსურდული მიმართულებებით და საოცარი ბიუროკრატიული ქაღალდომანიით (ამის შესატყვისად გამოდგება ალბათ „ელექტროფოსტამანია“), რასაც მიაქვს სკოლის დირექციისა და მასწავლებლების დროც, ყურადღებაც და მიმართულებების პრიორიტეტულობაც, ყურადღების გარეშე ტოვებს უმთავრესს - მოსწავლის ცოდნის ხარისხს, რის გამოც ბავშვებს ამა თუ იმ საგანში მომზადება სჭირდებათ უკვე დაწყებითი კლასებიდან. პირდაპირ ვიტყვი - ამ საჯარო სკოლის მოდელი შესაცვლელი და თავიდან გასააზრებელია.

- ტრადიცია და დღევანდელობა რამდენად შეთავსებადია? ლხინისა და ჭირის გადამეტებით გამომხატველი სუფრები, ხაზგასმული გლოვა, თუნდაც - წლობით შავის ტარება...

- ტრადიცია და თანადროულობა მეტად აქტუალური საკითხია. არის მთელი რიგი ტრადიციებისა, რომელსაც მარგალიტივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ, მაგრამ ასევე არის რიგი ტრადიციებისა, დავიწყებას რომ უნდა მიეცეს. მათ რიცხვშია გლოვასთან დაკავშირებული რიტუალები... მრავალრიცხოვანი ქელეხის მომხრე არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემს მშობლებს სწორედ ასეთი მრავალრიცხოვანი ქელეხი გადავუხადე, რადგან მათ ასე უნდოდათ და თანაც იმ დროში თუ ამას არ გააკეთებდი, საზოგადოების განსჯის საგნად იქცეოდი. ახლა შედარებით იცვლება დამოკიდებულებები ამ თვალსაზრისით, რაც ძალიან კარგია. ვთვლი, რომ სამარის კარამდე ადამიანი უნდა გააცილოს საზოგადოების იმ ნაწილმა, ვინც ამას აუცილებლად მიიჩნევს, მაგრამ სუფრასთან უნდა დაჯდეს მხოლოდ და მხოლოდ ვიწრო წრე. რაც შეეხება შავებს, აქაც გადაჭარბება ვიცოდით. ჩემს ბავშვობასა და ახალგაზრდობაში ეს იყო კანონი, რომ ქვრივსა და შვილმკვდარ დედას შავი სიცოცხლის ბოლომდე უნდა ცმოდათ და თუ ამას არ გააკეთებდნენ, ერთგვარი ბულინგის თუ არა, კრიტიკის ობიექტად ნამდვილად იქცეოდნენ. ახლა დამოკიდებულებები ამ მხრივაც შეიცვალა და ამას მივესალმები. გლოვასაც ზომიერება სჭირდება. ისეთ ადამიანებსაც ვიცნობდი, შვილის სიკვდილის შემდეგ სამსახურში თეთრი პერანგებით რომ დადიოდნენ, მაგრამ სახლში მწუხარების მორევში იყვნენ ჩაძირულები. ეს იმდენად პირადულია, ძნელია, ვინმეს რაიმე უკარნახო, მხოლოდ ერთს შევნიშნავ: როცა ადამიანი მიხვდება, რომ შავი სამოსი ამძიმებს, საზოგადოების ხათრით თუ „შიშით“ არ უნდა ატაროს.

- აფორიზმები, რომლებიც უნდა გვახსოვდეს...

- ჩემი სადოქტორო დისერტაცია სწორედ აფორიზმებს შეეხებოდა ძველ ქართულ მწერლობაში და როგორც მაშინ ცნობილი მკვლევარები თვლიდნენ, ამ თვალსაზრისით აფორისტიკის, როგორც მეცნიერების დარგის განვითარების საქმეში ერთგვარ საწყისად მოიაზრებოდა. დღემდე გამოუცემელი დამრჩა ყველა ქართველი მწერლის აფორიზმების კრებული დაწყებული იაკობ ცურტაველიდან, ჩვენი თაობის მწერლებით დამთავრებული და, შესაბამისად, ამ საკითხში საკმაო ცოდნა მაქვს. ძნელია რომელიმეს გამოყოფა, მიუხედავად ამისა, ვახტანგ მეექვსის „შეგონებას“ ხშირად ვიყენებ ხოლმე ლექციებზეც და პირად საუბრებშიც, სადაც ეს დიდი მოღვაწე ადამიანის მოვალეობაზე საუბრობს. ადამიანმა უნდა იცხოვროს ისე, რომ „სახელის ხე საჩრდილებლად წყლისა პირსა სა(დ)მე დარგოს“.

- როგორ გესახებათ წიგნის მომავალი და მისი ტრანსფორმაცია, რას ურჩევდით ახალგაზრდებს სულიერი სრულყოფისთვის?

- საკუთარ შვილიშვილთანაც კი ხშირად მიწევს ახსნა-განმარტება, რომ კომპიუტერი კარგია ბევრი თვალსაზრისით, მაგრამ უშუალოდ წიგნის ფურცლებიდან კითხვას ვერაფერი შეედრება. ამ რამდენიმე წლის წინ ამერიკელმა სტუმარმა, ახალგაზრდა, განათლებულმა კაცმა ჩემი ბიბლიოთეკის ნახვისას სრულიად სერიოზულად მკითხა: - კი მაგრამ, რად გინდათ ამდენი წიგნი, როცა ეს ყველაფერი აი, - და მიჩვენა „ფლეშკა“, რაც მანამდე არ მენახა, - ამაზე დაეტევა?! მაშინ მივხვდი, საით მივექანებოდით, სტუმარს კი მხოლოდ ის ვუთხარი, რომ მისი პატარა ნივთი ვერასოდეს აგრძნობინებდა ადამიანს იმას, რასაც - ეს წიგნები. მართლაც, გავიდა რამდენიმე დღე და ის განგებ დავისწარი ჩემს მეგობრებთან დიალოგზე იგივე ბიბლიოთეკაში და საუბარი გადავიტანეთ ამერიკულ ლიტერატურაზე. აღმოჩნდა, რომ მისი „ლიტერატურული განათლება“ ედგარ პოს „ყორანს“ ვერ სცდებოდა - მას დიდი კლასიკოსების ნაწილის გვარები გაეგონა და... მეტი არაფერი. როცა ამ ავტორებზე დავუწყეთ საუბარი, მაშინ თქვა: - ახლა მივხვდი, რას ნიშნავს ეს ბიბლიოთეკა, მე ამ ცოდნის დასაგროვებლად ალბათ სამი სიცოცხლე არ მეყოფაო. ასე რომ, არ შეიძლება ყველაფერი გადმოვიღოთ უცხოურიდან, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ, რითაც აქამდე მოვედით, ერთ-ერთი კი წიგნის სიყვარულია.

- მართლმეტყველების და, საერთოდ, ქართული ენის დასაცავად რა შეიძლება ვიღონოთ?

- მართლმეტყველების საკითხი დღეს უპირველესია. ამ თვალსაზრისით, არსებულ დონეზე დასაბრუნებლად ბევრი რამაა საჭირო და, უპირველესად, ენის სიწმინდის დაცვის სახელმწიფო დაწესებულების გეგმაზომიერად მუშაობა. ადრე ამას ენის პალატა აკეთებდა. განსაკუთრებული ყურადღება ტელევიზიებს უნდა მიექცეს. იქ წამყვანად არ უნდა გვევლინებოდნენ წამყვანები, რომლებიც, სრული გადაჭარბების გარეშე რომ ვთქვა, რყვნიან ქართულ ენას. დაწესებულებებში კონკურსების გამოცხადებისას, ასევე, ერთ-ერთი უმთავრესი პირობა უნდა იყოს სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნა. გასაკეთებელი ამ მხრივ ძალზე ბევრია.

- თქვენ ბევრ ახალგაზრდას გაუკვალეთ გზა და ახლაც მეგზურობთ. ამ ბოლო დროს კიდევ ერთი ტალანტი აღმოაჩინეთ...

- ტალანტების სიუხვე და მათთან ურთიერთობა ჩემი ცხოვრების მთავარ მონაპოვრად მიმაჩნია. სწორედ ამ ინტერვიუს წერისას ამომიგდო ფეისბუქმა ერთი წლის წინ „ლიტერატურულ გაზეთში“ დაბეჭდილა ლექსო კაკიაშვილის მოთხრობები. ლექსო მკითხველმა თქვენი გაზეთის მეშვეობითაც გაიცნო, რისთვისაც მე განსაკუთრებულ მადლიერებას მოგახსენებთ, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდები. ჩემს სხვა „ლიტერატურულ შვილობილებზე“ მინდა ორი სიტყვის თქმა: ეკა ლაცაბიძე ხაშურელი გოგონაა - პროფესიით იურისტი, ადვოკატი. შარშან არაჩვეულებრივი წიგნი გამოსცა, რომელსაც „ადვოკატის ჩანაწერები“ დაარქვა. საოცარი ნაწარმოებებია ამ წიგნში თავმოყრილი. ვთვლი, რომ ვინც ამ წიგნს გაეცნობა, დიდ სიამოვნებას მიიღებს. მაიკო წიქარიშვილი ჯერ 25 წლისაა. წელს დაასრულა მაგისტრატურა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საინტერესო ლექსებს წერს და ბეჭდავს. „ლიტერატურულ გაზეთში“ ბოლოს მისი შესანიშნავი მინიმები დაიბეჭდა. ასევე, საინტერესო ლექსებს წერენ ჩემი სტუდენტები ნათია ტატიაშვილი, თორნიკე ჩხიკვაძე, ქრისტინე მახარაშვილი, აღარაფერს ვამბობ უკვე აღიარებულ პოეტებსა და მთარგმნელებზე, რომელთა ბავშვობამაც ჩემს ხელში გაიარა: გიორგი ლობჟანიძეზე, ცირა ბარბაქაძეზე, ეკა ბაქრაძეზე, თათია მთვარელიძეზე. მათი შემოქმედება არა მარტო საქართველოში, მის ფარგლებს გარეთაცაა ცნობილი.

- კიდევ რით გაგვაკვირვებს მურად მთვარელიძე?

იხ. მე-7 გვ.

„უფრო შემაშფოთებელი ისაა, რომ თანამედროვე სკოლა თავისი აბსურდული მიმართულებებით და საოცარი ბიუროკრატიული ქაღალდომანიით (ამის შესატყვისად გამოდგება ალბათ „ელექტროფოსტამანია“), რასაც მიაქვს სკოლის დირექციისა და მასწავლებლების დროც, ყურადღებაც და მიმართულებების პრიორიტეტულობაც, ყურადღების გარეშე ტოვებს უმთავრესს - მოსწავლის ცოდნის ხარისხს, რის გამოც ბავშვებს ამა თუ იმ საგანში მომზადება სჭირდებათ უკვე დაწყებითი კლასებიდან

ოჯახისთვის ჰარმონია, რომელიც თანასწორობას მოაქვს, შეუცვლელია

რატომ სარგებლობენ იშვიათად დეკრეტული შვებულებით მამები?

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

როგორია საქართველოს დღევანდელი რეალობა გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით? იცვლება თუ არა საზოგადოების დამოკიდებულება ამ მიმართულებით? რატომ სარგებლობენ იშვიათად დეკრეტული შვებულებით მამები? რას ეფუძნება ოჯახური ჰარმონია? რა პროექტები ხორციელდება გენდერული თანასწორობის მისაღწევად საქართველოში? რას წარმოადგენს „მამების სკოლა“? - ამ და მკითხველისთვის საინტერესო სხვა საკითხებზე გაეროს მოსახლეობის ფონდის პროექტის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: ერთად გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის დასაძლევად“ ოფიცერი ***ეთუნა ნოღაიდელი*** *გვესაუბრება.*

- გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით, რა რეალობაა დღეს?

- გენდერულ თანასწორობაზე საუბრისას ძალიან მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ სხვადასხვა ასპექტში, საქართველოში თვალსაჩინო პროგრესი ვლინდება. თუმცა, ფაქტია, რომ გამოწვევებიც მრავლად რჩება. გენდერული თანასწორობის შესახებ არსებობს მოსაზრება, რომ იგი შეუთავსებელია ქართულ კულტურასთან. გავრცელებული აზრით, თითქოს 90-იან წლებში წამოვიწყეთ ამ ცნებაზე საუბარი და ეს იყო თავსმოხვევული იდეა. სინამდვილეში კი ევროპულ განვითარებას ამ მიმართულებით ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ქართული საზოგადოება. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოდიან საზოგადოებრივ ასპარეზზე პირველად ის ქალები, რომლებიც იბრძვიან ცვლილებებისთვის, განათლებისა და ქალების პოლიტიკური უფლებებისთვის. დღეისათვის ჩვენ, როგორც ქვეყანამ, ძალიან ბევრი ნაბიჯი გადავდგით გენდერული თანასწორობის გასაძლიერებლად. შეიქმნა რეგიონში ერთ-ერთი სამაგალითო საკანონმდებლო ჩარჩო, რომელმაც ბევრი რამ შეცვალა ქალების ცხოვრებაში.

- ორგანიზაციის აქტივობაზე რას გვეტყვით?

- გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტო, რომელსაც თითქმის 25 წელია, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს - როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს წინსვლასა და განვითარებაში გენდერული თანასწორობის მიღწევის ხელშეწყობით; სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების გაძლიერებით; ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობისა და საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრისთვის ბრძოლით; ახალგაზრდების განვითარების მხარდაჭერით; ჯანსაღი და აქტიური სიბერის პოპულარიზაციით; მოსახლეობის დინამიკის შესახებ ხარისხიანი მონაცემების შეგროვებით და ქვეყნის მდგრადი განვითარების დაგეგმვისათვის მათი გამოყენების ხელშეწყობით.

- როგორ იცვლება საზოგადოების დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ საქართველოში?

- გაეროს მოსახლეობის ფონდი, ერთ-ერთი პროგრამის ფარგლებში, ატარებს კვლევას „ქალები, კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში“, რომელიც პირველად - 2013 წელს, მეორედ კი 2020 წელს ჩატარდა. საზოგადოების დამოკიდებულების კუთხით, ამ პერიოდში ძალიან ბევრი დადებითი ცვლილება მოხდა, რაც ჯერ კიდევ არ არის ასახული ქცევის ცვლილებაში, რასაც გაცილებით მეტი დრო სჭირდება. რამდენიმე მაგალითი შემიძლია გითხრათ. 2013 წლის კვლევებით, ქალის პირველად და მთავარ მოვალეობად ითვლებოდა ოჯახსა და შვილებზე ზრუნვა და არა კარიერასა და პროფესიულ განვითარებაზე ფიქრი. მაშინ რესპონდენტების 72% (კაცების 80% და ქალების 66%) ამ აზრს ეთანხმებოდა, 2020 წლის კვლევებით კი მონაცემები საგრძნობლად შეიცვალა (კაცების 59% და ქალების მხოლოდ 38% ეთანხმება). ქალების დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი უფრო სწრაფად იცვლება, იმედის მომცემია ახალგაზრდების მიდგომაც. სწორედ ამიტომ, გაეროს მოსახლეობის ფონდში ვფიქრობთ, რომ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ახალგაზრდებთან მუშაობა, მათი პოტენციალის გამოყენება იმისათვის, რომ დაჩქარდეს დადებითი ცვლილებები. სწორედ მათ შეუძლიათ უთანასწორობის ჯაჭვის გაწყვეტა და რეალური შედეგების მოტანა.

- ამ მიმართულებით მუშაობის პროცესში პრობლემურ საკითხად რა რჩება?

- გაეროს მოსახლეების ფონდი მუშაობს გენდერული უთანასწორობის და ძალადობის ძირეული მიზეზების - გავრცელებული სტერეოტიპების და უარყოფითი სოციალური ნორმების შესაცვლელად, ასევე, იმ საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრის მიმართულებით, რომელიც ხელს უშლის გენდერული თანასწორობის მიღწევას, ქალების შესაძლებლობების სრულ რეალიზებას და უარყოფით გავლენას ახდენს მათ ცხოვრებასა და ჯანმრთელობაზე. ერთ-ერთია ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭება - საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრებით, ოჯახს აუცილებლად უნდა ჰყავდეს ვაჟი. ეს დამოკიდებულება ვლინდება ძალიან სამწუხარო პრაქტიკაში - გენდერული ნიშნით სქესის შერჩევაში. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდებში ამ საკითხთან მიმართებითაც უფრო სწრაფად იცვლება დამოკიდებულება - მათ ბევრად ნაკლები სტერეოტიპი აქვთ. კიდევ ერთი პრობლემური საზიანო პრაქტიკაა ბავშვის ქორწინება. საქართველოს კანონმდებლობით, ქორწინების ასაკი 18 წლით განისაზღვრა. სამწუხაროდ, 2010 წლიდან ბავშვის ქორწინების თვალსაზრისით მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა: 2018 წლის მონაცემებით ვხედავთ, რომ 20-24 წლის ქალებიდან 13.9%-მა 18 წლამდე შექმნა ოჯახი. ბავშვის ქორწინება განსაკუთრებით ხშირია გოგონების შემთხვევაში, რაც ძალიან მძიმე გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე, განათლებაზე და პირდაპირ კავშირშია ჯანმრთელობასთან, მომავალ პერსპექტივებსა და სიღარიბესთან. აუცილებლად უნდა შეეხოთ ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის საკითხს, რაც დღემდე რჩება კრიტიკულ პრობლემად საქართველოსათვის. მონაცემები აჩვენებს, რომ ქალები სხვადასხვა ფორმის ძალადობას განიცდიან, თუმცა ამ ძალადობის სათანადოდ შეტყობინება ხშირად არ ხდება - ამას ხელს უწყობს გავრცელებული ტრადიციული ნორმები, ასევე, საზოგადოების მხარდაჭერის ნაკლებობა ძალადობაგამოვლილი ადამიანის მიმართ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავი, ჯანდაცვის, საგანმანათლებლო თუ სხვა უწყებების კოორდინირებული პასუხი ძალადობაზე იყოს მეტად ეფექტური. თუმცა უმნიშვნელოვანესია თავად ქალების გაძლიერება, მათ შორის - ეკონომიკური გაძლიერება, რათა მათ თავად გაუჩნდეთ სივრცე, საიდანაც ძალადობის ჯაჭვის გაწყვეტას შეძლებენ.

- თქვენს პროექტზეც გვითხარით.

- პროექტი „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის, გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის დასაძლევად“ აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანაში ხორციელდება. ძალიან წარმატებული იყო მისი პირველი ფაზა. გაეროს მოსახლეობის ფონდი, კამპანიის „კაცები ზრუნავენ“ ფარგლებში, მრავალი წელია მუშაობს კაცებთან, რათა ისინი გახდნენ გენდერული თანასწორობის უფრო აქტიური მხარდამჭერები, მოხდეს გენდერული ნორმების ტრანსფორმაცია და შეიცვალოს სტერეოტიპები. ამ კუთხით არაერთი აქტივობა განვახორციელეთ.



- მათგან რომელს გამოყოფდით?

- ინოვაციური, წარმატებული და გამორჩეული პროექტია „მამების სკოლა“. ეს არის პასუხი იმ ტენდენციებზე, რასაც კვლევების საფუძველზე ვაკვირდებით. ბოლო დროს ვხედავთ, რომ კაცების შეხედულებები სწრაფად იცვლება და ჩვენც ვცდილობთ, ვუპასუხოთ ამ ცვლილებებს. მაგალითად, დღეს კაცსაც შეუძლია დეკრეტული შვებულებით სარგებლობა, მაგრამ იმიტომ, რომ საჯარო და კერძო სექტორში სხვადასხვანაირად რეგულირდება ეს საკითხი, ამავდროულად კი დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ცნობიერება ამ კუთხით ჯერ კიდევ არ არის მაღალი, ბევრი კაცი არ სარგებლობს დეკრეტული შვებულებით. კვლევის „ქალები, კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში“ თანახმად, მშობიარობაზე პარტნიორის დასწრება იზრდება და ზოგადად, კაცებს სურთ, უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულები შვილების ცხოვრებაში. კვლევებით დასტურდება ისიც, რომ ეს უდიდეს დადებით გავლენას ახდენს ოჯახურ ჰარმონიასა და წყვილის ურთიერთობაზე, ქალების და ბავშვების ჯანმრთელობაზე. როდესაც მშობლები აქტიურად და თანაბრად არიან ჩართულნი ბავშვის აღზრდის პროცესში, ეს პირდაპირ აისახება არა მხოლოდ ბავშვების ჯანმრთელობაზე, არამედ მათ აკადემიურ მოსწრებაზეც.

- „მამების სკოლაზე“ უფრო დეტალურად რომ ვისაუბროთ...

- „მამების სკოლა“ ორი წლის წინ დავიწყეთ რეპროდუქციულ კლინიკებთან თანამშრომლობით. სკოლა, თეორიული და პრაქტიკული საკითხების გასაცნობად, მამებთან 8 შეხვედრას მოიცავს. მშობლის როლი, პარტნიორული ურთიერთობები, ბავშვის განვითარების ეტაპები - ეს იმ თემების ჩამონათვალია, რომლებზეც ვმსჯელობთ ამ შეხვედრებზე, ფასილიტატორის დახმარებით. ჩვენმა პარტნიორმა ორგანიზაციამ „ვიზრუნოთ ერთად“, რომელიც ამ პროექტს ახორციელებს, აღნიშნულ მოდულს პირველადი დახმარების შესახებ ერთდღიანი პრაქტიკული კურსიც დაამატა, აუდიტორიის თხოვნიდან გამომდინარე. აღნიშნული პროექტის შედეგებმა დაგვანახა, რომ მამების მხრიდან არის მზაობა, იყვნენ უფრო აქტიურად ჩართულები ოჯახსა და შვილებზე ზრუნვაში და თანაბრად გაინაწილონ ამ ზრუნვის ტვირთი.

- ხშირად არის გამოწვევა ახალგაზრდა ქალების წინაშე - კარიერა თუ ოჯახი...

- დღეს, მგონი, აღარ უნდა ვიკამათოთ, რომ ოჯახისთვის მხოლოდ ერთი ადამიანის შემოსავალი არასაკმარისია. ეს მოიტანა თანამედროვეობამ. იმ ქვეყნებში, სადაც გენდერული თანასწორობა მაღალია, ქალები უფრო მეტად ჩანან შრომის ბაზარზე. სწორედ ამიტომ, გენდერულ თანასწორობას პირდაპირ უკავშირებენ ქვეყნის მდგრად განვითარებას, ეკონომიკას და წინსვლას. ჩვენს ქვეყანაში ქალები, რომლებიც უმაღლეს განათლებას იღებენ, სხვადასხვა დაბრკოლების გამო, რაც მათ ექმნებათ, როგორც ქალებს - შემდგომში ვეღარ რეალიზდებიან შრომის ბაზარზე. ეს სახელმწიფოსთვის დაკარგული პოტენციალია, მით უმეტეს, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა და ნიშნავს ქვეყნის წინსვლის შეფერხებას. ქალმა ოჯახსა და კარიერას შორის არჩევანი რომ არ გააკეთოს, ძალიან მნიშვნელოვანია, ოჯახში იყოს ჰარმონია და თანასწორობა, ხოლო ზრუნვის ტვირთი თანაბრად განაწილდეს. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარებულმა კვლევამ დროის განაწილების შესახებ ცხადყო, რომ ქალი ხუთჯერ მეტ დროს უთმობს აუნაზღაურებელ საოჯახო შრომას. მარტივად რომ ვთქვათ, სახლის საქმეები მხოლოდ ერთი ადამიანის მხრებზე გადადის. ქალს არ რჩება საკუთარი თავისა და ინტერესებისთვის დრო და ენერგია, რაც ოჯახში ჰარმონიულ ურთიერთობას ხელს უშლის და, ასევე, ართმევს ქალს ანაზღაურებადი დასაქმების შესაძლებლობას.

- რას ურჩევთ ახალგაზრდებს?

- მათ მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ საკუთარი პოტენციალი. რა თქმა უნდა, აუცილებელია საზოგადოების ხელშეწყობაც, მაგრამ ინდივიდუალური მონდომება და გამბედაობაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. თანასწორობას, პირველ რიგში, უნდა შევხედოთ როგორც უფლებას. თუმცა, ეს ჩვენს პასუხისმგებლობადაც უნდა მივიჩნიოთ: საჭიროა გამბედაობა, ზოგჯერ პირადი კომფორტის დათმობა, მაგრამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს არის საერთო სიკეთე, რომელიც აუცილებლად მოგვიტანს დადებით შედეგებს. ოჯახისთვის ჰარმონია, რომელიც თანასწორობას მოაქვს, შეუცვლელია.

> ***აუცილებლად უნდა შევეხოთ ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის საკითხს, რაც დღემდე რჩება კრიტიკულ პრობლემად საქართველოსათვის. მონაცემები აჩვენებს, რომ ქალები სხვადასხვა ფორმის ძალადობას განიცდიან, თუმცა ამ ძალადობის სათანადოდ შეტყობინება ხშირად არ ხდება - ამას ხელს უწყობს გავრცელებული ტრადიციული ნორმები, ასევე, საზოგადოების მხარდაჭერის ნაკლებობა ძალადობაგამოვლილი ადამიანის მიმართ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავი, ჯანდაცვის, საგანმანათლებლო თუ სხვა უწყებების კოორდინირებული პასუხი ძალადობაზე იყოს მეტად ეფექტური, თუმცა უმნიშვნელოვანესია თავად ქალების გაძლიერება, მათ შორის - ეკონომიკური გაძლიერება, რათა მათ თავად გაუჩნდეთ სივრცე, საიდანაც ძალადობის ჯაჭვის გაწყვეტას შეძლებენ***

ფესტივალი „ზე-კართან“ დასრულდა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საკმაოდ შინაარსიანი, მასშტაბური და მონაწილეთა რაოდენობითაც გამორჩეული იყო წლევანდელი საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“. მონაწილეთა რაოდენობამ 60-ს გადაამეტა. საქართველოში მოღვაწე მწერლებს, მთარგმნელებს, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს თურქი, უკრაინელი და იტალიაში მომუშავე ქართველი მთარგმნელებიც შეუერთდნენ

სექტემბრისთვის უჩვეულოდ ცხელი დღის გამო, წლევანდელი ფესტივალის დასკვნითი ნაწილი ხულოს თეატრში გაიმართა. ფესტივალის მონაწილეებსა და დამსწრეთ ვახტანგ ბერიძე მიესალმა. მან ერთხელ კიდევ მადლობა გადაუხადა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების თვითმმართველობების ხელმძღვანელებს ფინანსური მხარდაჭერისა და ფესტივალის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის.

„ზე-კართან“ დაფუძნების დღიდან მისი მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატები ანზორ ბოლქვაძე და ფრიდონ ფუტკარაძე. მათ თანადგომისთვის ორგანიზატორმა ვახტანგ ბერიძემ მადლობის სიგელები გადასცა.

დამსწრეთ მიესალმნენ ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე და ფრიდონ ფუტკარაძე. ანზორ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტში მიმდინარე სხდომის გამო, მონაწილეებს დედაქალაქიდან შეეხმიანა და თანადგომასაც შეჰპირდა.

„პირველი რომანი“ - ამ თემაზე სასაუბროდ მოდერატორმა ზვიად კვარაცხელიამ სცენაზე რომანების: „ჯავშანი“ და „ღრუბელი ოთახში“ ავტორები ნინო სამყურაშვილი და ნინო ნადირაძე მიიპატიჟა.

ფესტივალზე წელს პირველად ჩამოვიდა უკვე საქვეყნოდ ცნობილი მწერალი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე. რამდენიმე წიგნის ავტორმა პოეზიაშიც სცადა ბედი. მან ღონისძიების მონაწილეებს ლექსების კრებული „ახალი სიმღერა“ წარუდგინა, წაიკითხა მასში შეტანილი რამდენიმე ლექსი. ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ნინო მოდრეკილაძემ, გიორგი ზედვაკელმა (აბესაძე) და სულხან წულუკიძემ.

ხულოს სახელოვნებო სკოლასთან არსებულ ბავშვთა ანსამბლ „ციცინათელას“, კულტურის ცენტრთან არსებულ უხუცესთა ანსამბლ „ბერმუხას“ დარბაზი ოვაციით შეხვდა, ასევე, თბილისში მოქმედ ქალთა ანსამბლს ომარ ბურდულის ხელმძღვანელობით.

ქედაში, შუახევსა და ხულოში, ტრადიციულად, ადგილობრივი ხელოვანებისა და ხელოსნების ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. ხულოს თეატრის ფოიეში მრავალი დამთვალიერებელი ჰყავდა მხატვარ ესმა ართმელაძის ნახატებს. აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის პედაგოგებმა და პროფესიული პროგრამის მსმენელებმა თექაზე შესრულებული ნიმუშები გამოფინეს (კურატორი - სკოლის პედაგოგი ლია ბუიღლიშვილი).

უკვე ტრადიციად დამკვიდრდა, წინა წლის ყაბალახოსანმა თავად აირჩიოს ახალი. ეკატერინე ტოგონიძემ და ზვიად კვარაცხელიამ უკრაინელ პოეტსა და მთარგმნელ ნატალია ტროხიმსა და გიორგი კეკელიძეზე გააკეთეს არჩევანი და მათ ყაბალახები საზეიმოდ მოარგეს.

ფესტივალის მონაწილეებმა სოფელ ჩაოში, კოტაჯვრის ტერიტორიაზე გაკეთებული მონუმენტი მოინახულეს.

- ვემშვიდობებით აჭარის მთიანეთს, აქ მცხოვრებ მუყაით და გამრჯე ადამიანებს, მათთვის წამოწყებულ ფესტივალს და თან მიგვყვება კიდევ მოსვლისა და აქაურების მოფერების სურვილი. ეს სამი დღე დაუვიწყარი იქნება ჩემს მრავალწლიან შემოქმედებაში. თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ უდავოდ ნიჭიერი ადამიანების სამკვიდროა ეს კუთხე, - გვითხრა გამომშვიდობებისას მარინა თექთუმანიძემ.

შეგონება მომავლისთვის, ანუ „მთავარი მაინც მამული არის“

მე-5 გვერდიდან

- გაკვირვების რა მოგახსენოთ, მაგრამ გეგმა კვლავ ბევრია. რამდენიმე წიგნი გამზადებული დევს. მათ შორისაა ამ საშინელი პანდემიის თემაზე დაწერილი რომანი „კორონ და“. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ასევე, წელს გამოსცემს ძველ ქართულ მწერლობაში მოხსენიებულ პირთა ანალიტიკურ ლექსიკონს, გეგმები არის, მთავარია, ქვეყანაში იყოს სიმშვიდე და სტაბილურობა.

- სიტყვები, რომელთა ლექსიკონიდან ამოღებას ყველას ურჩევდით...

- უპირველეს ყოვლისა, ბარბარიზმები, ეს უცხოური სიტყვები, რომლებიც, სამწუხაროდ, ასე ფეხმოკიდებულია ჩვენს ახალგაზრდებში. კონკრეტულად არ დავასახელებ. ისინი, ძირითადად, ახალ ტექნოლოგიებს უკავშირდება და ამ ტერმინებზე ქართული თავსართ-ბოლოსართების მიერთება, სიმართლე გითხრათ, არამცთუ ყურს ცუდად მხვდება, ძალიან მაღიზიანებს კიდეც, ამ დროს ჩვენ გვაქვს შესაბამისი ტერმინები და... თუ არ გვაქვს, უნდა ვეცადოთ, შევქმნათ რამე ისეთი, რაც ქართულ ლექსიკას მოერგება. და თუ მაინც საჭიროა სიტყვის დასახელება, ლექსიკიდან ამოვიღებდი სიტყვას „პრეზენტაცია“, გვაქვს მისი შემცვლელი სიტყვა „წარდგინება“, სამწუხაროდ, ასეთი ბევრია.

- რა გაწუხებთ და რა გტკივათ ყველაზე მეტად?

- ყველაზე მეტად? პირადი საწუხარი აქ რა მოსატანია, ჩვენი ცხოვრება ხშირად არის ბევრი ტკივილით სავსე, ზოგად საწუხარზე მოგახსენებთ, - გაუცხოება, გათითოკაცება, ერთგვარი სიცივე ადამიანთა შორის, ეროვნული ნიშან-თვისებებისგან დაშორება, ოჯახის სიწმინდის რღვევა... რომელი ერთი ჩამოვთვალო!

- ადამიანები, რომლებიც თქვენი შთაგონების წყაროდ იქცნენ...

- განსაკუთრებული მადლობა ამ კითხვისთვის, მაგრამ ჩემი ლექსების შთამაგონებლებს ამჯერად გვერდს ავუვლი და გეტყვით, რომ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა შთაგონება ეძლევა ადამიანს. მოწაფეობის დროს ჩემი შთაგონება ჩემი ქართულის მასწავლებელი იყო, სტუდენტობისა და შემდგომ წლებში ჩემი ცხოვრების გზის გამკვლევნი, პროფესორები დავით თევზაძე და რევაზ ბარამიძე ის ადამიანები იყვნენ, ვისაც ვბაძავდი, რომელთა მსგავსი მინდოდა ვყოფილიყავი, ისინი შთამაგონებდნენ, პირველ რიგში, შრომისმოყვარეობას, ზნეობას, კეთილსინდისიერებას, პროფესიონალიზმს, სხვებზე ზრუნვას, არ ვიცი, ეს ყველაფერი რამდენად გამომივიდა, მაგრამ მცდელობა არ დამიკლია.

- დღეს ტყვიასაც ბრმად ისვრიან და სიტყვასაც... იქნებ გონგის შემოკვრაა საჭირო?

- გონგის შემოკვრა მაშინაა საჭირო, როცა ერი „მამულისად სვლას“ ასცდება. ამის მაგალითები ქართულ მწერლობაში გვაქვს და ის უკავშირდება ჯერ იოანე საბანისძეს და შემდეგ ილიას, მაგრამ ზარი რომ შემოჰკრა, ამისთვის ერის წყლულიც უნდა გტკიოდეს და დიდიც იყო. ვნატრობ, გამოჩნდეს ადამიანი, ვისაც ამ საერო ზართა დაგუგუნების უფლება ექნება და ერიც მას გაჰყვება. სამწუხაროდ, დღეს ასეთს ვერ ვხედავ.

- ფრაზა, რომლითაც დაასრულებდით ამ ინტერვიუს...

- „მთავარი მაინც მამული არის, განსაცვიფრებლად არის მთავარი“. - დღეს გალაკტიონის ეს შეგონება თუ უმთავრესად არ გავიხადეთ, მომავალისკენ ვერ გავიხედავთ.

ხსოვნა

რაჟდენ ხოზრევანიძე

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამორჩეული მთიელი, ხალხური მთქმელი რაჟდენ ხოზრევანიძე.

დაიბადა 1950 წლის 19 აპრილს ხულოს რაიონის სოფელ კვატიაში, მრავალშვილიან ოჯახში. კვატიის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში აგრონომის სპეციალობას დაეუფლა და მშობლიურ სოფელში აგრონომად დაიწყო მუშაობა. 1969-1971 წლებში არმიაში მსახურობდა. იმ დროიდან მოყოლებული ნახევარ საუკუნეზე მეტხანს არჩეულ პროფესიას და მშობლიურ სოფელს ემსახურა.

1971 წელს ეთერ სურმანიძესთან ერთად სტუმართმოყვარე, ქართულ ტრადიციებზე დაფუძნებული ოჯახი შექმნა, „მაგრამ ხანგრძლივ, ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა?!“... პირველი შვილის როინის გარდაცვალება ოჯახის დიდი ტკივილი იყო, რომლის შემდეგ გატყდა რაჟდენის ჯანმრთელობაც. წუწუნი არ უყვარდა და ტკივილს გულში იკლავდა. მშვიდი ბუნების, ძლიერი ვაჟკაცი გულისა და სულის სალბუნს ლექსებში პოულობდა. სამშობლოზე, ადამიანებზე, სიყვარულზე წერდა. ყველგან და ყოველთვის რეალისტი და ჰუმანური იყო. უსაზღვროდ განიცდიდა საქართველოში შექმნილ მდგომარეობას. დაუნდობლად ამხელდა ქვეყნის გამყიდველებს, აქებდა და ახალისებდა მებრძოლ ვაჟკაცებს. სამწუხაროა, რომ ვერ მოესწრო საკუთარი ლექსების კრებულის გამოცემას. წიგნი გამოსაცემად უკვე მზადაა. იმედია, ისტორიას დარჩება ბატონი რაჟდენის ნაღვაწი და პირუთვნელი, მართალი სიტყვა.

უფალმა გაგინათოს იმიერი. შენი ლამაზი სული იქ დაავანოს, სადაც მართალნი განისვენებენ!

ხოზრევანიძეთა საგვარეულო კავშირი

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივმიგებისა და მადლიერების საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პოეტი, აჭარის ხალხური მთქმელი

რაჟდენ დევრიშის ძე ხოზრევანიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3.

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2`
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 7/09/23, 18 30 სთ.

აჩიკო გოგიტიძის პირველი სოლო კონცერტი და... ლამაზი სიურპრიზი

ბათუმის ხელოვნების ცენტრში ჩვენი თანაქალაქელის, ახალგაზრდა მომღერალ აჩიკო გოგიტიძის პირველი სოლო კონცერტი გაიმართა

სრული ანშლაგით ჩატარებულ საღამოს ემოციების გარეშე არ ჩაუვლია. მსმენელმა არაერთი შესანიშნავი სიმღერა მოისმინა და არა მარტო აჩიკოს შესრულებით. საღამო გაალამაზეს მისმა მეგობრებმა თამთა ხუხუნაიშვილმა (მასზე მოგვიანებით კიდევ ვიტყვით), აჩიკო ბერიძემ, სულხან დევაძემ, ნიკო ბერიძემ, გიორგი ბერიძემ, ოთო ბაზერაშვილმა.

კონცერტს ხიბლი შესძინა დავით მაზანაშვილის ქალთა კამერულმა ორკესტრმა და ბენდმა.

აჩიკომ დიდი სიყვარული ჩადო კონცერტში, სიურპრიზი მოუწყო მსმენელს და ძალიან თბილი საღამო აჩუქა ბათუმელებს. განსაკუთრებულად მოეფერა ღირსეულ ბათუმელ ალეკო აბაშიძეს, რომლის სულმაც სულ რამდენიმე დღეა, ზეციურ სავანეში გადაინაცვლა. მომღერალმა მაყურებელს სთხოვა არა წუთიერი დუმილით, არამედ მქუხარე ტაშით გადაეხადათ მადლობა მისი პროფესიონალიზმისთვის, პატივი მიეგოთ გამორჩეული ადამიანობისთვის, სიკეთისთვის... რა თქმა უნდა, არ დაივიწყა დიდი ხელოვანი ალექსანდრე ხომერიკი, რომელიც ასევე დიდი სიყვარულით მოიხსენია.

ვიდეორგოლით გავეცანით აჩიკო გოგიტიძის ორი ათეული წლის განმავლობაში განვლილ საკმაოდ ნაყოფიერ გზას.

საღამოს კულმინაცია აჩიკო გოგიტიძის გაბედნიერების წუთები იყო, რომლის თანამონაწილე დარბაზში მსხდომი თითოეული ადამიანი გაგვხადა - მან ხელი მომღერალ თამთა ხუხუნაიშვილს სცენაზე სთხოვა...

გთავაზობთ კონცერტის შემდეგ ჩაწერილ რამდენიმე შთაბეჭდილებას.

თამარ ივერი, საოპერო მომღერალი:

- ბათუმის თეატრში რომ ვმღეროდი, მაშინ ასლან აბაშიძემ ბავშვთა ოპერის თეატრი შექმნა. აჩიკო იქიდან მახსოვს - მინდიას არიას მღეროდა სასწაულად, ნიკო ბერიძე „ტურანდოტში“ - კალაფის არიას. ვამბობდი, ამ ბავშვებს დიდი მომავალი აქვთ. შეიძლება ბევრი მღერის კარგად, მაგრამ აჩიკო გოგიტიძეს უნიკალური, შოუმენის თვისებები აქვს, ადამიანების გულთან ძალიან ახლოს მიდის, ამასთან, ძალიან კარგი მომღერალია, სულით ხორცამდე. დიდ წარამატებებს ვუსურვებ. მიყვარს, როგორც ადამიანი და როგორც - მომღერალი.

დათო არჩვაძე, მომღერალი:

- ამ საღამომ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. აჩიკო არის ფოიერვერკი, ზეიმი, ადამიანობის, თავმდაბლობის, სიყვარულის, სიკეთის, ბედნიერების მაგალითი და ბედნიერებითვე დაგვირგვინდა ეს კონცერტი. ძალიან ნიჭიერ ჩემს თამთას და აჩიკოს უდიდესი სიყვარულით ვულოცავ.

დავით მაზანაშვილი:

- სხვანაირი მაყურებელია ბათუმში, სხვანაირად ესმის მუსიკა და რომ კარგი საღამო გამოდის, ეს მაყურებლის ძალიან დიდი დამსახურებაა, დიდი სითბო მოდის მათგან. გულწრფელად ვიტყვი, არ მოველოდი ამდენს. რაც შეხება აჩიკო გოგიტიძეს, ჩემთვის ის აღმოჩენაა.

მარიამ ჯახუტაშვილი, ბათუმის მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი და ვოკალის პედაგოგი:

- დიდი ხანია, ასეთი სიამოვნება არ მიმიღია. ასეთ ნიჭიერ ახალგაზრდებს თავის გამოჩენის უფრო მეტი საშუალება უნდა ჰქონდეთ.

ინგა ჩახვაშვილი, ჟურნალისტი:

- ამ საღამოსთვის თბილისიდან სპეციალურად ჩამოვედი. ბედნიერი ვარ, რომ ამ ბიჭმა მთელი თავისი სიყვარული გადმოაფრქვია სცენიდან, არაფერი შეშლია, დაწყებული ალეკო აბაშიძის, ალეკო ხომერიკის გახსენებით. ფინალი ფანტასტიკური იყო.

თამარ მაძაშვილი, მსახიობი:

- დიდი ხანია, ასეთ თბილ კონცერტს არ დავსწრებივარ, მადლობა ბათუმს და ყველა იმ ადამიანს, ვინც მას გვერდით დაუდგა. ეს იყო სიყვარულის და ბედნიერების ფოიერვერკი.

აჩიკო გოგიტიძე:

- ეს ჩემი პირველი სოლო კონცერტია და, რა თქმა უნდა, არასოდეს დამავიწყდება. ძალიან მერიდებოდა, მაგრამ გავბედე - ჩემი მეგობრების მხარდაჭერით, საოცარი დავით მაზანაშვილის თანადგომით. ასეთ საღამოს ნამდვილად არ ველოდი. დღეს უამრავი ადამიანი მოვიდა და ეს კონცერტის ყველა მონაწილის დამსახურებაა. ჩვენ ყველაფერი ჩავდეთ ამ საღამოში. მადლობა თითოეულ მაყურებელს. რომ შეიძლებოდეს, სათითაოდ გადავკოცნიდი ყველას. რაც შეეხება კონცერტის აკორდს, ალბათ, ამაზე უკეთეს გარემოში ამის გაკეთება არ შეიძლებოდა - დღეს საქვეყნოდ გამოვაცხადე ჩემი მეორე ნახევარი: გავმართე სოლო კონცერტი და დავასრულე სიყვარულით. 36 წლის ვარ, დადგა ის დრო, როცა უკვე სხვანაირად უნდა ვიცხოვრო...

კონცერტის მხარდამჭერები იყვნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ბათუმის მერია, სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი და სხვები.

ნიჭიერების ზეიმი – ანრი ჯოხაძის დედულეთში

პოპულარულმა მომღერალმა ანრი ჯოხაძემ ბათუმის ხელოვნების ცენტრში გამართულ კონცერტზე, რომელზეც მეგობრებთან ერთად წარსდგა, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის დღეს საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული მომღერალი და საუკეთესო შოუმენია. სხვათა შორის, მას ასეთი დიდი კონცერტი თბილისში ჯერ არ ჩაუტარებია, და ეს მაშინ, როცა ბათუმში მეოთხედ მართავს და ყველას - გრანდიოზულად

მსმენელთან საუბარი ანრის უყვარს და ეს ტრადიცია არც ამჯერად დაარღვია. იმ საღამოს პირველივე წინადადებით, გადაჭედილ დარბაზს ერთგულებისა და სიყვარულისთვის მადლობა გადაუხადა (მის წლევანდელ კონცერტზე ყველა ბილეთი გაიყიდა).

„როცა მაყურებელს ასე უყვარხარ და ერთგულებას გიმტკიცებს, არ შეიძლება, იგივეთი არ უპასუხო“, - თქვა მან.

კონცერტზე შესრულდა როგორც ძველი ჰიტები, ისე ახალი სიმღერები. ანრისთან ერთად სცენაზე ვიხილეთ მომღერლები ეკა კახიანი, ნინი ბადურაშვილი, მაია ჯაბუა, ბაბი კირკიტაძე, ნინუცა შანშიაშვილი, ნიჭიერი მუსიკოსი ლაზარე ადამია... თითოეულის გამოსვლა გამორჩეულად დასამახსოვრებელი იყო. ბრწყინვალე იყო ნუნუ დუღაშვილის მუსიკაზე შექმნილი (იოსებ ნონეშვილის ტექსტი) ცნობილი სიმღერა „ჩემო კახეთო“, რომელიც ანრიმ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელასთან (ქორმაისტერი - ლელა დოლიძე) ერთად შეასრულა, ასევე, რევაზ ლაღიძის მუსიკასა და აკაკი წერეთლის ლექსზე შექმნილი „განთიადი“ - მომღერალს დარბაზი ფეხზე წამოუდგა.

ერთი სიმღერა შოვში დაღუპულ თანამემამულეებს მიეძღვნა.

გოგი დოლიძის რეპერტუარიდან სიმღერა „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“ ანრიმ სცენაზე და გოგიმ ეკრანიდან გვიმღერეს, რაც ასევე ძალზე ამაღელვებელი იყო. ანრიმ ბათუმსაც ლამაზად უმღერა ჩვენს კაპელასთან ერთად...

დარბაზიდან გაისმა პატარა, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული მომღერლების ოთო ბაზერაშვილისა და ნიკოლოზ ხარატის ხმა, რომლებმაც ანრისთან ერთად შეასრულეს „საქართველოს მანანებო“ და... დარბაზი კვლავ ფეხზე წამოდგა. ზღვა ემოცია, დაუსრულებელი ტაში, „ბისზე“ განმეორებული სიმღერა... ბოლოს - საქართველოს ეროვნული ჰიმნი, რომელსაც ანრი გამორჩეულად ასრულებს. ფეხზე წამომდგარი მაყურებლის ოვაციებს ბოლო არ უჩანდა. მსმენელისადმი თქმული ანრის მადლიერების სიტყვა მხურვალე ტაშმა გადაფარა.

- ძალიან ემოციური იყო დღევანდელი საღამო ჩვენთვისაც. გვიხარია, რომ ანრიმ ასეთი საოცარი დღე გვაჩუქა ბათუმში. დიდი მადლობა მას, - გვითხრეს ოთომ და ნიკოლოზმა.

- ანრის დიდი გულშემატკივარი ვარ. არცერთი კონცერტი არ გამომიტოვებია და ყოველთვის უდიდესი შთაბეჭდილებით მივდივარ. უნიჭიერესი მომღერალია, მოვლენაა. ის ყოველთვის დგამს გრანდიოზულ შოუს, რომელიც დაუვიწყარია. დღესაც ისეთი საღამო მოგვიწყო, რომ ყველას მისი უსასრულოდ გაგრძელება უნდოდა. მადლობა მას ამ საოცარი დღისთვის, - აღნიშნა მუსიკოსმა რუსუდან კვახაძემ.

- როგორც ყოველთვის, ანრი დღესაც მოწოდების სიმაღლეზე იყო. გამორჩეული მსმენელია ბათუმში, რამდენი ბედნიერი, გახარებული ადამიანი იჯდა დარბაზში. ანრი ერთ-ერთი ის მომღერალია, ვისაც შეუძლია ადამიანების გაერთიანება, გაბედნიერება, რადგან უსაზღვროდ ნიჭიერია, - გვითხრა ნინი ბადურაშვილმა.

- ემოციური საღამოები ბათუმში გრძელდება და ერთ-ერთი დამაგვირგვინებელი იყო ანრის კონცერტი ჩვენი ქვეყნის ძალიან საყვარელ და წარმატებულ შემსრულებლებთან ერთად. მან მოახდინა ფურორი. როგორც ყოველთვის, დღესაც მოწოდების სიმაღლეზე იყო. კულმინაცია ამ სასწაული ბავშვების ჩართულობა გახლდათ. დარბაზთან ერთად ორჯერ ნამღერი „საქართველოს მანანებო“ იმის დასტურია, რომ ანრი, მისი შემოქმედება უყვართ და ამიტომაც ყოველთვის დიდი ინტერესით ელოდებიან ბათუმში, - გვითხრა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თამარ გუდავამ.

- ბათუმი ჩემი დედულეთია, დედა აქ გაიზარდა, აქ დაამთავრა სკოლა, მუსიკალური სასწავლებელი. ბათუმის სიყვარული გენეტიკურად მოგვდგამს. ბათუმი არის ადამიანები, მეგობრები, ურთიერთობები... ზოგისთვის შეიძლება, მხოლოდ აჭარული ხაჭაპურია - გასტრონომიული სიყვარული... რაც შეეხება კონცერტს, მიხარია, რომ ახალ რეპერტუართან ერთად, ჩვენი გენიალური კომპოზიტორების შემოქმედება ყღერს და მას ბავშვები აღფრთოვანებით ასრულებენ, ისინიც იყვარებენ ჩვენს კლასიკას და ასეც უნდა იყოს, ეს სიმღერები უნდა ჟღერდეს და თაობიდან თაობას გადაეცემოდეს. მადლობა ყველას დღევანდელი ემოციებისთვის, - თქვა ანრიმ „აჭარასთან“ საუბრისას.

მომღერალმა მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძესა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილს.

გვერდი მოამზადა
მანანა ძიძიშვილმა